პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
სამშაბათი
9
ოქტომბერი
1934 წ.
№ 234 (4090)

დღის ნომერში

- — მადრიდის მუშათა რაიონებში კვლავ აღმართულია ბარიკადები.
- — დააპატიმრეს კატალონიის მთავრობის წევრები.
- — მანჯურიაში გრძელდება აჯანყებულთა მოძრაობა.
- — საკანტონო არჩევნების პირველი ტურის შედეგები საფრანგეთში.
- — დაიხურა ინგლისის კონსერვატიული პარტიის ყრილობა.
- — შანხაიში ჩამოყალიბდა ამერიკა-ჩინეთის სავაჭრო საბჭო.
- — გერმანიის მზადება ვერსალის ხელშეკრულების სამხედრო პუნქტების გაუქმებისათვის.
- — დაიღუპა საფრანგეთის ცნობილი მფრინავი ლემუანი.
- — ჩინეთის რესპუბლიკის ოფიციალური მისია მოსკოვში.
- — ამერიკის ელჩი ბულიტი ესტუმრა მეცხოველეობის საკავშირო ინსტიტუტს.
- — ჩაის ნედლი ფოთლის მოკრეფის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით.

მრეწველობის მუშაობა უნდა გარდაიქმნას

საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს ა. წ. 11 სექტემბრის დადგენილების თანახმად, მრეწველობის ხაზით წინათ არსებულ ცალკე კომისარიატების ნაცვლად შექმნილია ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი. ამ ორგანიზაციულმა ღონისძიებამ უნდა უზრუნველყოს ხელმძღვანელობის გაუმჯობესება ადგილობრივ მრეწველობაზე. ერთიორად უნდა გააუმჯობესოს ყოველდღიური მეთვალყურეობა და კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობა მრეწველობის ცალკე ერთეულებისადმი.

XVII პარტიულმა ყრილობამ დიდი მნიშვნელობა მიაკუთვნა ადგილობრივ მრეწველობას სოციალისტური მეურნეობის გაძლიერების საქმეში. მან დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი გაძლიერებისათვის. ამხ. **სტალინმა** თავის მოხსენებაში მე-17 პარტყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნა მავნებლობა ცენტრალიზაციისა მრეწველობის დარგში, რომელსაც ადგილი ჰქონდა დღემდის. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატების და მათი ადგილობრივი ორგანოების უქონლობის გამო გართულებული იყო ხელმძღვანელობა მრეწველობის მუშაობაზე. ცენტრი ვერ სწვდებოდა საბჭოთა კავშირის უდიდეს ტერიტორიაზე დაბნეულ წარმოებებს, იფანტებოდა ძალები. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები თითქმის უყურადღებოდ სტოვებდნენ საწარმოებს იმ იმედით, რომ მათდამი ხელმძღვანელობა განხორციელებული იქნებოდა ცენტრიდან.

ამით აიხსნება, რომ უმაღლეს საკავშირო ორგანოების დირექტივის თანახმად ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობა ამიერიდან რესპუბლიკის სახკომსაბჭოების და რაიაღმასკომების უშუალო გამგებლობაში გადავიდა.

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ადგილობრივი ორგანოებით მოწოდებულია განახორციელოს უშუალო ხელმძღვანელობა საწარმოებზე. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი პასუხისმგებელია საწარმოების ნორმალური მუშაობისათვის: როგორც ნედლეულით მათი უზრუნველყოფისა, ისე შრომის განმტკიცებისა, მუშათა მომარაგებისა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და სხვ. დღემდის სამაოდ არ იყო გამოყენებული ნედლეულის ადგილობრივი რესურსები. სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ნედლეულის ადგილობრივ გამოძებნას. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ამიერიდან უნდა ეცადონ ამ ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მრეწველობის მუშაობის რეორგანიზაცია თავის მიზანს ვერ მიაღწევს, რადგან საწარმოების უზრუნველყოფა ადგილობრივი ნედლეულით მათი ნორმალური მუშაობისა და შემდგომი განვითარებისა ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

ამასთან ერთად ადგილობრივი საწარმოების ზუსტი აღრიცხვა, მათი დაგეგმვა და თვითეული მათგანისადმი ყოველდღიური ოპერატიული მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობას უწევს აგრეთვე პროდუქციის გასაღებას, საბჭოთა სახელმწიფოებრივი ფასების პოლიტიკის ყოველგვარ დამახინჯებათა გარეშე გატარებას, კადრების მომზადების საქმეს და სხ. მრეწველობის მუშაობის რეორგანიზაცია ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ამიერიდან საჭირო არ იყოს მაღალი კვალიფიკაციის მომუშავენი მრეწველობისათვის. ასეთ ტენდენციას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ახალმა ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა უახლოეს დროის განმავლობაში უნდა მოგვცეს საგრძნობი მიღწევები ადგილობრივი მრეწველობის განმტკიცების და გაძლიერების საქმეში. ეს სავსებით დამოკიდებულია მაზე, რამდენად ელასტიური და საქმიანი იქნება ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების, აგრეთვე რაიკომებისა და რაიაღმასკომების ხელმძღვანელობა საწარმოებისადმი.

◆

ძირეული პრესა და ლენინიზმის პროპაგანდა

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ძირეული პრესა როგორც ქალაქად, ისე განსაკუთრებით სოფლად არადამაკმაყოფილებლად აშუქებს პარტიულ განათლების საკითხებს. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ მთელი რიგი რაიონული გაზეთებისა რომლებიც ნაკლებად ფიქრობენ პარტგანათლების ქსელის მუშაობაზე.

პარტკაბინეტი არის **პარტგანათლების ლაბორატორია.** მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმეში, პარტიული აქტივის თეორიული დონის ამაღლებაში პარტკაბინეტი თამაშობს დიდ როლს. ამავე დროს კი პარტკაბინეტები ბევრგან **სრულებით არ არსებობს.**

მეორე მხრივ არსებული პარტკაბინეტების დიდი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს პარტიულ აქტივის გაზრდილ მოთხოვნილებას. პარტკაბინეტს ბევრგან არ მოეპოვება ლიტერატურა აქტუალურ საკითხებზე; არ გააჩნია ცენტრალური გაზეთების კომპლექტებიც კი.

ვიკითხოთ ახლა: ადგილობრივი პრესა განა აქცევს პარტკაბინეტების მუშაობას ჯეროვან ყურადღებას, გამოაქვს მზის სინათლეზე პარტკაბინეტის როგორც მიღწევები, ისე ნაკლოვანებანი? სამწუხაროდ ამ კითხვაზე, უმეტეს შემთხვევაში, უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ.

როგორაა პარტგანათლების ქსელი **დაკომპლექტებული,** რამდენად უზრუნველყოფილია ეს ქსელი პარტიული მასის აქტიური მონაწილეობით, როგორაა **პროპაგანდისტთა** კადრები შერჩეული და განაწილებული, როგორია პარტიული სწავლების **ხარისხი** — აი, ეს საკითხები დღემდე ვერ დგას ძირეული პრესის ყურადღების ცენტრში.

ზოგან პარტიის რაიკომი **მეორეხარისხოვან** საკითხად თვლის პარტიული განათლების საქმეს. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. დირექტივები ამ საკითხზე ბევრგან ვერ სრულდება. მაგრამ არიან სანიმუშო რაიკომები და მათი მდივნები, რომლებსაც ლენინიზმის პროპაგანდის საქმე **გაუხდიათ პარტიული მუშაობის ორგანიულ ნაწილად.** მაშასადამე, არის ორი მაგალითი — **ცუდი და კარგი.**

ძირეული პრესა აქ ვერ იჩენს საკმაო სიფხიზლეს, მას ვერ გამოაქვს თავის ფურცლებზე პარტიული ხელმძღვანელობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფაქტები. ენერგიულად არ ებრძვის ნაკლოვანებებს ლენინიზმის პროპაგანდის საქმეში.

ამიტომაც ლენინიზმის პროპაგანდის საკითხები დღემდე ვერ პოულობს ძირეულ პრესაში სათანადო გამოხატულებას, აქტიურ გამოძახილს.

პარტიის რაიკომებმა და სამ. სატ. სადგურის პოლიტგანყოფილებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ძირეულ პრესის მუშაობას.

ძირეული პრესა უნდა გადაიქცეს ლენინიზმის პროპაგანდის ორგანიზატორად.

ვადაზე ადრე 115 პროცენტით

სიღნაღი, 8 ოქტომბერი. ულიანოვკის სამ.-სატრ. სადგურმა საშემოდგომო ხვნის გეგმა 17 დღით ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. 2.400 ჰექტარის ნაცვლად, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული, 7 ოქტომბრისათვის მოხნულია 2.764 ჰექტარი. გეგმის 115 პროცენტი. ხვნა გრძელდება.

ულიანოვკის სამ.-სატრ. სადგურის დირექტორი ძებნიაური.
პოლიტგანყოფილების უფროსი გადახაბაძე.

ჩაის ნედლი ფოთლის მოკრეფის გეგმა გადაჭარბებით შესრულებულია

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. მიმდინარე წელს ჩაის ნედლი ფოთლის მოკრეფის გეგმა ჯერ კიდევ 15 სექტ. გადაჭარბებით იყო შესრულებული. უკვე ამ დღისთვის მოკრეფილი იყო 6.162 ტონა ფოთოლი — ორჯერ მეტი, ვიდრე 1933 წელს.

ს. ს. რ. კავშირის მიწსახკომის სუბტროპიკულ კულტურათა მთავარ სამმართველოს ცნობებით, 10 სექტემბრისათვის ჩაის ფაბრიკებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 856 ტონა მზა ჩაი, მაშინ, როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 819 ტონა. ჩაბარებული 856 ტონიდან უმაღლესი ხარისხის პროდუქცია იყო 1,4 პროც., პირველი ხარისხის 8 პროცენტი, მეორე ხარისხის — 76,6 პროც. და მესამე ხარისხის 14 პროც.

შარშან ფაბრიკებს სრულებით არ გამოუშვიათ უმაღლესი ხარისხის ჩაი, ხოლო პირველი ხარისხის ჩაი შეადგენდა მთელი გამოშვებული პროდუქციის მხოლოდ 4,6 პროცენტს, მეორე ხარისხისა — 62,3 პროცენტს და მესამისა — 33,1 პროცენტს. (ადს).

ბარიკადები მადრიდის მუშათა რაიონებში

აჯანყებანი მანჯურიაში

რამდენიმე რაიონი აჯანყებულთა ხელშია

შანხაი, 4 ოქტომბერი. გაზეთების ცნობებით, აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს ლანშანზე, რომელიც მუკდენ-შანხაიგუანის რკინისგზის გასწვრივ მდებარეობს.

ხეილუნძიანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში დაახლოებით 9 ათას კარგად შეიარაღებულ აჯანყებულს უჭირავს რამდენიმე რაიონი და არ უშვებს იქ იაპონიის ჯარებს.

სიმბუნ რენგოს სიტყვით, მიძიატუნში, მიშანის მახლობლად (გირინის პროვინცია) აჯანყებულთა დაახლოებით 200 კაცისაგან შემდგარ რაზმთან ბრძოლაში იაპონელებს მოუკლეს 2 კაცი და დაუჭრეს 8 კაცი, აქედან ერთი ოფიცერია (ადს).

მუკდენ-ანდუანის რკინისგზაზე გრძელდება მატარებლებზე თავდასხმა

ტოკიო, 5 ოქტომბერი. (დაკავებულია იაპონის ხაზზე). სიმბუნ რენგო იუწყება, რომ მუკდენ-ანდუანის რკინისგზაზე ულუბეის და ხამატუნის სადგურებს შორის 3 ოქტომბერს მუკდენიდან ფუზანში მიმავალ მატარებელს თავს დაესხა ბანდიტთა ჯგუფი, რომელიც 50 კაცისაგან შესდგებოდა. თავდასხმის ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდნენ ანდუანის იაპონური გარნიზონის ნაწილები და მატარებელი ანდუანში 4 ოქტომბერს დილით ჩავიდა (ადს).

სავალდებულო შრომის ბეგარა

ბერლინი, 7 ოქტომბერი. გამოქვეყნდა დეკრეტი, რომელსაც ხელს აწერენ ლეი და შრომის ბეგარის უფროსი სტატს მდივანი ჰირლი; იმის დეკრეტით ნაციონალ-სოციალისტური პარტიის და „მუშათა ფრონტის“ ყველა წევრისათვის, რომლებიც დანიშნული არიან ხელმძღვანელ პოსტებზე, შემოღებულია სავალდებულო შრომის ბეგარა ერთი წლის ვადით. ყველა გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს დეკრეტი პრაქტიკულად წარმოადგენს გადამწყვეტ ნაბიჯს საყოველთაო სავალდებულო შრომის ბეგარის შემოღებისაკენ.

იმ პირთა რიცხვი, რომლებზედაც ეს დეკრეტი უნდა გავრცელდეს, ძალიან დიდია, ვინაიდან ხელმძღვანელ პოსტებზე მყოფთა შორის ნაგულისხმევია აგრეთვე ნაციონალ სოციალისტური ორგანიზაციების და „მუშათა ფრონტის“ დაბალი რგოლების ხელმძღვანელებიც (ადს).

ფაშისტები აუქმებენ ვერსალის ხელშეკრულებას

პარიზი, 7 ოქტომბერი. მთელი რიგი გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიას განზრახვა აქვს აშკარად გააუქმოს ვერსალის ხელშეკრულების სამხედრო პუნქტები, რომლებიც კრძალავენ გერმანიის შეიარაღებას. გაზეთების სიტყვით, ამას მოითხოვს რეიხსვერი ბლომბერგის მეთაურობით; ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ გერმანიის შეიარაღებამ მიაღწია ისეთ დონეს, რომელზედაც მისი გაგრძელება საიდუმლო წესით, როგორც ეს დღემდის ხდებოდა, შეუძლებელია. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ რეიხსვერი დაჟინებით მოითხოვს ვერსალის ხელშეკრულებით აკრძალულ ტანკების გაძლიერებულ მშენებლობას (ადს).

სპარსეთის და საბჭოთა კავშირის

კულტურული დაახლოება

თეირანი, 5 ოქტომბერი. სპარსეთის პრესა აქვეყნებს პრემიერ ფორუგის საპასუხო დეპეშას უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარის აროსევის მიმართ, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სოხეილის დეპეშას ამხ. კრესტინსკის მიმართ. ისინი ულრმეს მადლობას აცხადებენ მეგობრული გრძნობებისათვის ფერდოვსის იუბილეს გამო. დეპეშებში გამოთქმულია რწმენა, რომ „მეცნიერული და კულტურული კავშირი, რომელიც დიდი ხანია არსებობს ორ ხალხს შორის, მტკიცე საფუძველს ქმნის ურყევი მეგობრობისათვის“.

ათავსებენ რა ანგარიშს ორიენტალისტთა კონგრესის გახსნის შესახებ, გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავენ ექვს საბჭოთა დელეგატის ფოტოგრაფიულ სურათებს და [illegible].

დღეს კონგრესის დილის სხდომაზე მოხდა საბჭოთა მთავრობის საჩუქრების ოფიციალური გადაცემა სპარსეთის მთავრობისათვის (ადს).

ლონდონი, 7 ოქტომბერი. გუშინდელი ღამის განმავლობაში შეიარაღებული ბრძოლა მადრიდში განსაკუთრებული სიძლიერით და შეუპოვრობით წარმოებდა.

კვატრო-კამინოსის მუშათა რაიონში ბარიკადების ასაღებად დასძრეს პოლიციელთა რაზმი და ბათალიონი ქვეითა ჯარი. მაგრამ წინააღმდეგობა არ არის დაძლეული. ახლოს არსებული საავადმყოფოები სავსეა დაჭრილებით. ბარიკადებით და სანგრებით დაფარულია მადრიდის სხვა მუშათა რაიონებიც — ვენტასი და ტეტუანი.

მუშებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ერთი ელექტროსადგური. ქალაქის ცენტრში მათ იერიში მიიტანეს ფოსტაზე, სამხედრო სამინისტროზე, გზათა და შინაგან საქმეთა სამინისტროებზე. მუშები სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ უკუაგდეს. ზარალი, რომელიც ორივე მხარეს მოუვიდა, გამოურკვეველია.

მადრიდი შეიარაღებულ ბანაკად არის გადაქცეული. ჯარები გამოყვანილია ქუჩებში. ტყვიამფრქვევები და ზარბაზნები მოთავსებულია პუერტა-დელ-სოლის ცენტრალურ მოედანზე.

გაფიცვამ დამბლა დასცა წარმოებას, ტრანსპორტს, მომარაგებას. პურის მიღება ძალიან ძნელია, მის მისაღებად დიდი რიგი დგას. სატელეგრაფო და სატელეფონო ურთიერთობა პროვინციასთან შეწყვეტილია. მთავრობა მხოლოდ რადიოკავშირგაბმულობას სარგებლობს. მუშებსაც აქვთ თავისი რადიოსადგური, რომლის აღმოჩენასაც ხელისუფლება ვერ ახერხებს (ადს).

კატალონიის მთავრობის წევრთა დაპატიმრება

ლონდონი, 7 ოქტომბერი. ღამით ცენტრალური მთავრობის ჯარები გენერალ ბატეტის სარდლობით გარს შემოერტყნენ კატალონიის მთავრობის შენობას და მას არტილერია დაუშინეს. დღეს დილით კომპანისის მთავრობა დატყვევებულ იქნა. დაპატიმრებულთა შორის არიან აგრეთვე ბარსელონის მერი (ქალაქის თავი) და მოხალისე რაზმების უფროსი. გენერალ ბატეტის განცხადებით, დაპატიმრებულნი მიცემული იქნებიან ჩვეულებრივ, და არა სამხედრო სამართალში.

ლონდონში გავრცელებული ხმების მიხედვით გუშინ, კატალონიის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად, ბარსელონაში ასანიას თავმჯდომარეობით შესდგა „ესპანეთის დროებითი მთავრობა“, რომელშიაც შევიდნენ 1931—1933 წლების რესპუბლიკურ-სოციალისტური კოალიციის მოღვაწენი. ამ მთავრობის მდგომარეობის შესახებ ერთიმეორის საწინააღმდეგო ვერსიები არსებობს. ზოგიერთი ცნობით, ასანიაც დაპატიმრებულია, სხვა ცნობებით, მან მოახერხა გაქცევა (ადს).

●●●

მფრინავ ლემუანის დაღუპვა

პარიზი, 6 ოქტომბერი. ცნობილი მფრინავი ლემუანი, რომელმაც დაამყარა სიმაღლეზე ფრენის მსოფლიო რეკორდი (13.800 მეტრი). ამიენში აწარმოებდა ახალ ოთხმოტორიან ყუმბარმზიდის გამოცდას. 300 მეტრის სიმაღლეზე აპარატმა შეწყვიტა მუშაობა. ლემუანი პარაშუტით გადმოხტა, მაგრამ პარაშუტი არ გაიშალა და მფრინავი დაიღუპა. მექანიკოსი ლენანი, რომელიც აგრეთვე პარაშუტით გადმოხტა, უვნებლად დაეშვა. მეორე მექანიკოსმა, რომელიც თვითმფრინავზე დარჩა, ყუმბარმზიდის ჩამოვარდნის დროს ფეხი მოიტეხა (ადს).

●●●

დაიხურა კონსერვატიული პარტიის ყრილობა

ლონდონი, 6 ოქტომბერი. დღეს ბრისტოლში მთელი რიგი რეზოლუციების მიღების შემდეგ დაიხურა კონსერვატიული პარტიის ყრილობა. ნაციონალური მთავრობის შემდგომი არსებობის პოლიტიკა ერთხმად იქნა მოწონებული. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება გაძლიერდეს კონსერვატიული პარტიის საპროპაგანდო მოქმედება მუშათა რაიონებში. მთელ რიგ მრეწველთა ოპოზიციის მიუხედავად, ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მთავრობისაგან მრეწველობის რეორგანიზაციას მოითხოვს (ადს).

●●●

სოლიდარობის დემონსტრაცია

პრაღა, 7 ოქტომბერი. გუშინ ჩამოვიდა საბჭოთა სასპორტო გუნდი 8 მოკრივის შემადგენლობით და მიხაილოვის მეთაურობით. შეხვედრა, რომელიც გუნდს მოუწყვეს, გადაიქცა საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის მძლავრ დემონსტრაციად. მატარებლის მოსვლამდე დიდი ხნით ადრე 4.000-მა მუშამ დაიკავა სადგური და მახლობელი ქუჩები. იმდენი ხალხი შეგროვდა, რომ ხელისუფალნი იძულებული იყვნენ შეეჩერებიათ მოძრაობა.

საკანტონო არჩევნების

პირველი ტურის წინასწარი შედეგები საფრანგეთში

პარიზი, 8 ოქტომბერი. გამოქვეყნდა საკანტონო არჩევნების პირველი ტურის ოფიციალური წინასწარი შედეგები. არჩევნები ჩატარდა გუშინ მთელ საფრანგეთში, სენის დეპარტამენტის გამოკლებით. არჩეულია 1192 გენერალური მრჩეველი, მათ შორის 11 კომუნისტი. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტებმა თითქოს დაკარგეს ერთი ადგილი, კომუნისტთა კანდიდატებისათვის მიცემული ხმათა საერთო რაოდენობა საგრძნობად გაიზარდა. მოზელის დეპარტამენტში კომუნისტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა, 1932 წლის არჩევნებთან შედარებით, გაიზარდა 75 პროცენტით. სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, კერძოდ ლო-ე-გარონის დეპარტამენტში, სადაც არჩეულ იქნა კომდეპუტატი ეუანრენი და კორეზის დეპარტამენტში გლეხებმა ხმა მისცეს კომუნისტებს. ჩრდილოეთის დეპარტამენტის სამრეწველო ცენტრებში კომუნისტებმა წინანდელთან შედარებით მიღებული ხმების რაოდენობა ერთისამად გაადიდეს (ადს).

კომპარტია მოითხოვს

ფაშისტურ ორგანიზაციების განიარაღებას

პარიზი, 7 ოქტომბერი. კომუნისტმა დეპუტატმა გაბრიელ პერიმ შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილით მიმართა: იგი მას მოაგონებს, — ამას წინათ უკვე მივაქციეთ სამინისტროს ყურადღება იმ გარემოებას, რომ გრძელდება ფაშისტური ორგანიზაციების შეიარაღება. ამასთანავე პერი მიუთითებს შეიარაღებულ ფაშისტებთან უკანასკნელ სისხლისმღვრელ შეტაკებებს, რომელშიც დაიჭრა რამოდენიმე მუშა. შემდეგ ემყარება რა ყოფილი პრემიერის დელადიეს სიტყვას, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ პარიზში არის 30 ათასი შეიარაღებული ფაშისტი, გაბრიელ პერი მოითხოვს ფაშისტური ორგანიზაციების განიარაღებას. (ადს).

კომუნისტი დეპუტატი დიუკლო დუმერგის სიტყვის შესახებ

პარიზი, 7 ოქტომბერი. „იუმანიტეს“ გადმოცემით, გუშინ ვილენევ-სენ-ჟორჟში (სენის და უაზის დეპარტამენტი) ათასი კაცისაგან შემდგარი აუდიტორიის წინაშე სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტმა დეპუტატმა ჟაკ დიუკლომ, რომელმაც გააკრიტიკა დუმერგის სიტყვა. დიუკლოს გამოსვლა რადიოთი გადასცა „რადიო-მოყვარულთა ასოციაციის ფედერაციამ — ილ დე ფრანსმა“ (ადს).

სტრატოსფეროში გაფრენა პილოტ-ქალის მმართვით

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი („პრავდას“ საკ. ინფ.). „ნიუ-იორკ ტაიმსი“ გადმოგვცემს დაწვრილებით ცნობებს სტრატოსფეროში გაფრენის შესახებ, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ამზადებენ პროფესორი პიკარი (ძმა იმ პიკარისა, რომელიც ევროპაში უკვე აფრინდა სტრატოსფეროში) და მისი ცოლი, ეს უკანასკნელი იქნება სტრატოსტატის მმართველი. გაფრენა მოხდება ფორდის აეროდრომიდან დეტროიტში. სტრატონავტები აპირებენ მაქსიმალურ სიმაღლეს მიაღწიონ და სამეცნიერო დაკვირვებათა მოსახდენად სტრატოსფეროში ერთ საათს მაინც დარჩენ.

სტრატოსტატის გონდოლი აღჭურვილია გაუმჯობესებული სამეცნიერო ინსტრუმენტების სრული კომპლექტით. გონდოლი დამზადებულია განსაკუთრებული შენადნობისაგან — მაგნეზიუმისაგან და დაახლოვებით 100 კილოგრამს იწონის. გონდოლის კედლების სისქე ერთი მერვედი დიუმია. გონდოლს აქვს ორი კარი გამოსასვლელად და ათი პატარა ფანჯარა დაკვირვებათა მოსახდენად (ადს).

იაპონიის მთავრობა

მადლობას უცხადებს საბჭოთა კავშირის მთავრობას

ტოკიო, 6 ოქტომბერი. 5 ოქტომბერს, საგარეო საქმეთა მინისტრმა ხიროტამ ინახულა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იურენევი და იაპონიის მთავრობის სახელით გულითადი მადლობა გამოუცხადა საბჭოთა მთავრობის თანაგრძნობისათვის იმ უბედურობის გამო, რომელიც იაპონიამ განიცადა უკანასკნელ ტაიფუნთან დაკავშირებით. ხიროტამ სთხოვა ამხ. იურენევს გადაეცა ეს საბჭოთა მთავრობისათვის. ამასთან ერთად ხიროტამ პირადად სრულუფლებიან წარმომადგენელს უღრმესი მადლობა გამოუცხადა თანაგრძნობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ამ შემთხვევის გამო (ადს).

საბჭოთა კავშირში

ჩინეთის რესპუბლიკის ოფიციალური მისია მოსკოვში

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. 7 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთის რესპუბლიკის ოფიციალური მისია, რომელიც თავისი მთავრობის დავალებით ეცნობა სამხედრო-სატრანსპორტო საქმის დაყენებას სხვადასხვა ქვეყანაში. მისიამ უკვე მოიარა იტალია, გერმანია, ავსტრია და ჩეხოსლოვაკია. საბჭოთა კავშირიდან იგი გაემგზავრება საფრანგეთსა, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. საზღვრიდან მოსკოვამდე მისიას თან ახლდა ჩინეთის სამხედრო ატაშე მოსკოვში, პოლკოვნიკი ფუ შენ-იუი. მისია მოსკოვში რამდენიმე დღეს დარჩება.

დღისით მისიის მეთაურმა ბ-ნმა იუ ფეიპენმა, მისიის ორი წევრის, საქმეთა რწმუნებულის ბ-ნ უ ნან-რუს და სამხედრო ატაშის პოლკოვნიკ ფუ შენიუის თანხლებით, ინახულა კავშირგაბმულობის სახალხო კომისარი ამხ. რიკოვი და მისი მოადგილე ამხ. ლუკოვი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ტუხაჩევსკი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბის უფროსის მოვალეობის დროებითი აღმსრულებელი ამხ. მეჟენინოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. სტომონიაკოვი და მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწე ამხ. კოსიჩი. (ადს).

სურათზე: თურქეთის ელჩის ბ-ნ ვასიფ-ბეის ჩამოსვლა ლენინგრადში. სდგას მარჯვნიდან პირველი ბ-ნი ვასიფ-ბეი.

ფილმი „მხიარული ყმაწვილები“

იყიდა ევროპის კინოტრესტმა

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. რეჟისორ ალექსანდროვის ახალი ფილმი „მხიარული ყმაწვილები“, რომელიც მოსკოვის კინოკომბინატის მიერ არის გამოშვებული, იყიდა ევროპის კინემატოგრაფიულმა ტრესტმა ევროპის ყველა ეკრანზე საჩვენებლად. (ადს).

ჟიულ ლიადუმეგი გაფრინდა პარიზში

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. 7 ოქტომბერს პარიზში გაფრინდა მსოფლიო ჩემპიონი სირბილში, ჟიულ ლიადუმეგი, რომელიც გამოდიოდა მოსკოვში მსუბუქი მძლეოსნობის საერთაშორისო საჩვენებელ შეჯიბრებებზე. (ადს).

ორგანიზებულად შევხვდეთ ზამთარს

„პრავდა“-ს მოწინავე 6/X

ზამთარი გვიახლოვდება. იგი თავის მოახლოებას გვაუწყებს დილის ყინვებით. მთა მაგნიტნაია 2 ოქტომბერს უკვე დაიფარა პირველი თოვლით. რიდერს გადაუარა სიცივის პირველმა ტალღამ. დიახ, ზამთარი დაბეჯითებით მოგვაგონებს, რომ იგი მალე მოგვევლინება მთელი სიძლიერით.

მრეწველობა და ტრანსპორტი კი ზამთრისათვის არ არიან მომზადებული. კიდევ მეტი, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წელს ზამთრისთვის უფრო ნაკლებად ვართ მომზადებული, ვიდრე გასულ წელს ვიყავით. ხოლო მზადება საჭიროა გაცილებით უფრო გულდასმით და სამუშაოები გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე წინა წლებში იყო. მეურნეობის მასშტაბები იზრდება, უნდა გაძლიერდეს მაშასადამე ზრუნვა მეურნეობაზე. მრეწველობა მუშაობს უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე გასულ წელს მუშაობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ზამთრისთვის საჭიროა უფრო მეტი სათბობის და ნედლეულის მომარაგება.

ფაქტები მოწმობს, რომ ოქტომბრის დამდეგს მეურნეობის მთელი რიგი პირველხარისხოვანი უბნები ცუდადაა მომზადებული. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს შავი მეტალურგია და ელექტროსადგურები.

აი რამდენიმე ფაქტი. სამხრეთის მეტალურგიულ ქარხნებს 1 ოქტომბრისთვის მადნის იმდენივე მარაგი მოეპოვებათ, რამდენიც ჰქონდათ შარშან ამავე დროისთვის. მაგრამ, რადგან თუჯის გამოდნობა გასულ წელთან შედარებით 50 პროცენტით გაიზარდა, აშკარაა, რომ ასეთი მარაგი წელს სრულიადაც არაა საკმარისი. უკანასკნელი ორი თვისთვის დამახასიათებელია მადნის საქარხნო მარაგის შემცირება. ვინაიდან მეოთხე კვარტალში განზრახულია თუჯის გამოდნობის შემდგომი გადიდება, მადნის ნაკლებობამ ქარხნებში შეიძლება დააბრკოლოს შავი მეტალურგიის წინსვლა.

არც აღმოსავლეთის მეტალურგიაშია უკეთესი მდგომარეობა. კუზნეცკის ქარხანას აქვს მადნის საზამთრო მარაგის ნახევარზე ნაკლები. სექტემბრის და ოქტომბრის გეგმა მაგნიტოგორსკიდან მადნის კუზნეცკში გადაზიდვისა სისტემატიურად არ სრულდება.

კიდევ უფრო მწვავე მდგომარეობაა კირაქვის მხრივ. სამხრეთის ქარხნებს მოეპოვებათ კირაქვის მხოლოდ ხუთი დღის მარაგი. აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში კუზნეცკი თავის ბრმედებს ახლად მოზიდულ კირაქვას აწვდის. ქარხანას არც ერთი ტონა მარაგი არა აქვს. შარშან, როცა ზამთარი დაიწყო, ქარხნებს ჰქონდათ 22 დღის მარაგი, მაგრამ მიუხედავად ამისა დიდ დაბრკოლებებს განიცდიდენ.

მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის მთელი რიგი უდიდესი სამანქანათმშენებლო ქარხნების ჩამომსხმელი საამქროები უკვე ახლა განიცდიან მწვავე ნაკლებობას ცეცხლგამძლე თიხისა, რომლის გადმოზიდვის გეგმა მესამე კვარტალში მხოლოდ სანახევროდ შესრულდა.

არანაკლებ დაძაბული მდგომარეობაა სათბობის მხრივ. თუ კოქსის საქმე ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებლადაა, სამაგიეროდ საკოქსე ქვანახშირის მოპოვების და გადმოზიდვის მდგომარეობა გაცილებით უფრო ცუდია. ზაფხულში კოქსდანადგარებზე სამხრეთში იყო საკოქსე ქვანახშირის 180 ათასი ტონა მარაგი. ოქტომბრის დამდეგისთვის მარაგი შემცირდა 140 ათას ტონამდე, მაშინ, როცა გეგმით საჭიროა სულ ცოტა 285 ათასი ტონა.

მაგნიტოგორსკის ქარხანას მაისში ჰქონდა 100 ათას ტონაზე მეტი, 1 ოქტომბრისათვის მარაგი შემცირდა 25 ათას ტონამდე, თუმცა გეგმით უნდა იყოს 180 ათასი ტონა.

ყველა ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, რომ შავი მეტალურგიის ბევრი ქარხანა ზამთრისთვის არ არის მომზადებული, ხოლო ზამთრის მოუმზადებლად შეხვედრა ნამდვილი დანაშაულია. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველივე ქარბუქი და თოვლის ზვავი გამოიწვევს ამ ქარხნების საწარმოო ცხოვრების დეზორგანიზაციას.

ცუდად ემზადებიან ზამთრისთვის აგრეთვე ელექტროსადგურები. მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სადგურები ზამთრისთვის არ არიან უზრუნველყოფილი არც სათბობით და არც სათადარიგო ნაწილებით. ბევრ სადგურზე ხდება რემონტის სამუშაოების ჩაშლა როგორც თვით სადგურზე, ისე ქვესადგურებზე და გადაცემის ხაზზე, ხოლო უამისოდ ენერგო-მეურნეობა თავს ვერ გაართმევს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მას ეკისრება შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმის პერიოდში.

ვოლგის სადგურები — **სამარის და სარატოვის** — მუშაობენ მაზუთით, რომლის გადმოზიდვა მდინარე ვოლგით სწარმოებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი საზამთრო მარაგი გადმოზიდულ უნდა იქნას ნავიგაციის შეწყვეტამდე.

ოქტომბრის დამდეგისათვის სამარის და სარატოვის სადგურებზე საჭირო საზამთრო მარაგის მხოლოდ ერთი მესამედი. სათბობის შემოზიდვის ოქტომბრის გეგმა მხოლოდ მიმდინარე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და, მაშასადამე, ვერ უზრუნველყოფს მარაგის გადიდებას. თუ სათბობის მარაგის გასადიდებლად სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული, ეს სადგურები ზამთარში მეტად მძიმე პირობებში მოხვდებიან. უნდა ვაღიაროთ, რომ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სათბობის განმანაწილებელი სექტორი ამ საქმეში იშვიათ სიბეცეს და უინიციატივობას იჩენს.

ზამთრის დაწყებამდე ძალიან მცირე დრო დარჩა, მაგრამ იგი მაინც საკმარისია იმისთვის, რომ ენერგიული მუშაობით გამოვასწოროთ მდგომარეობა. ამისთვის საჭიროა ტრანსპორტის და თვით მრეწველობის სასწრაფო შეთანხმებული ღონისძიებები.

ჩირად არა ღირს ყველა დეკლარაცია მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულებისათვის მზადყოფნის შესახებ, თუ ამ განცხადებებს თან არ სდევს საქმიანი და უაღრესად ენერგიული მუშაობა ზამთრისთვის მომზადების ხაზით.

ახლა საკითხი ასე დგას: თუ ნამდვილად გვინდა შევასრულოთ მეოთხე კვარტალის გეგმა, თუ მართლა გვინდა ზამთარში მივაღწიოთ წარმოების ახალ გადიდებას, თუ მართლა გვინდა საბჭოების მე-7 ყრილობაზე წარვსდგეთ საწარმოო გამარჯვებებით, — ვემზადოთ ზამთრისთვის.

ბულიტმა ინახულა მეცხოველეობის საკავშირო ინსტიტუტი

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. 7 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საბჭოთა კავშირში ბ-ნ ვ. ბულიტმა ინახულა მეცხოველეობის საკავშირო ინსტიტუტი, სადაც იგი მიიღო ინსტიტუტის დირექტორმა, ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, პროფ. ლისკუნმა.

პროფ. ლისკუნთან საუბრისას ბ-მა ბულიტმა განაცხადა, რომ ინსტიტუტის მუშაობით დაინტერესებულია ამერიკის აგროკულტურის ინსტიტუტი, და გამოთქვა სურვილი, რომ ამ ორ სამეცნიერო დაწესებულებას შორის დამყარდეს მჭიდრო ურთიერთობა მუდმივ პრაქტიკულ მუშაობაში.

საუბრის შემდეგ ბ-მა ბულიტმა, პროფ. ლისკუნის და ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა თანხლებით, დაათვალიერა ინსტიტუტის ლაბორატორიები და გაეცნო იქ წარმოებულ ცდებს. ბ-ნი ელჩი განსაკუთრებით დაინტერესდა ხელოვნური დათესლიანების ლაბორატორიის სამუშაოებით. მან გამოთქვა სურვილი პერიოდულად გაეცნოს იქ წარმოებულ ცდებს.

ბ-მა ბულიტმა ინსტიტუტში ოთხ საათამდე დაჰყო. წასვლისას სტუმრების წიგნში მან შემდეგი ჩანაწერა:

„აღტაცებული ვარ მეცხოველეობის ინსტიტუტის დათვალიერებით. აქ ჩატარებულ ექსპერიმენტებს მნიშვნელობა აქვთ მთელი კაცობრიობისათვის. მე მივულოცავ ინსტიტუტს და მთელ საბჭოთა კავშირს იმ გამოკვლევებს, რომლებმაც პრაქტიკული შედეგები უკვე გამოიღეს და რომლებსაც ინსტიტუტის გამოჩენილი მეცნიერნი ეწევიან.

ვ. ბულიტი“.

„ლიტკე“ ლენინგრადის ნავთსადგურში

ლენინგრადი, 7 ოქტომბერი. დღეს დილით „ლიტკეს“ ექსპედიციის უფროსი დუპლიცკი მეცნიერ თანამშრომლებთან ერთად, რომელნიც ჩამოვიდნენ მოსკოვიდან ყინულისმჭრელის შესახვედრად, გაემგზავრა კრონშტადტში. ექსპედიციის მეთაურთა შემადგენლობა გემი „პიონერით“ მივიდა ტოლბუხინის შუქურას ტრავერსამდე, სადაც გადაჯდა „ლიტკეში“. ლენინგრადის ნავთსადგურში მდგომი გემები არქტიკის დამმარცხებელს სალამს აძლევდნენ საყვირებით, ხოლო გემების ეკიპაჟები — მქუხარე „ვაშას“ ძახილით.

საღამოს 6 საათზე „ლიტკე“ მიადგა ლეიტენანტ შმიდტის სანაპიროს. ყინულისმჭრელის ქიმიდან ნაპირზე ჩაუშვეს კიბე. კიბით ყინულისმჭრელის ქიმზე ავიდნენ ლენინგრადის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელნი, ფაბრიკების და ქარხნების წარმომადგენელნი. ნაპირიდან რამდენიმე ათეული პროჟექტორი ანათებდა გემს, რომელმაც ჩაატარა დიდი ლაშქრობა, და ეკიპაჟს, რომელიც ორ წყებად იყო ჩამწკრივებული.

ნაპირზე, სადაც შეიკრიბა რამდენიმე ათასი კაცი, გაიმართა მიტინგი. ლენინგრადის ორგანიზაციების წარმომადგენელნი მიესალმნენ გაბედულ პოლარელებს. მიტინგზე წაკითხულ იქნა ლენინგრადელ ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხ. კიროვის მისალმება.

ექსპედიციის უფროსმა ამხ. დუპლიცკიმ საპასუხო სიტყვაში მადლობა გადაუხადა ლენინგრადელებს გულთბილი შეხვედრისათვის. „ყოველთვის, როცა ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით ნაპირს, ჩვენ ვიგონებდით საბჭოთა კავშირის გმირ პროლეტარიატს. ჩვენ გვაინტერესებდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრება და მუშაობა. ვიცოდით, რომ ჩვენს ქვეყანასაც აინტერესებს ჩვენი საქმე. ამან დიდი დახმარება გაგვიწია არქტიკის სასტიკ ყინულებთან ბრძოლაში“.

წითელდროშოვან ყინულისმჭრელის „ლიტკეს“ კაპიტანმა ამხ. ნიკოლაევმა განაცხადა, რომ სამი თვის წინათ, როცა ყინულისმჭრელი სტოვებდა ვლადივოსტოკს, შორეულ აღმოსავლეთის მხარის მშრომელებმა დაავალეს ეკიპაჟს და მის ხელმძღვანელებს მხურვალე სალამი გადაეცათ ლენინის ქალაქის პროლეტარებისათვის.

„ჩვენ შევასრულეთ შორეული აღმოსავლეთის მშრომელთა თხოვნა, — განაცხადა ამხ. ნიკოლაევმა, — გადავლახეთ სუსხიანი არქტიკის ყინულები და მოგიტანეთ შორეული აღმოსავლეთის მშრომელთა ეს სალამი“.

მიტინგი იხურება „ვაშას“ ძახილით. (ადს)

საბჭოთა კავშირი აწარმოებს წიგნების გაცვლა-გამოცვლას 72 ქვეყანასთან

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. შესრულდა 10 წელიწადი, რაც უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებასთან მოეწყო წიგნების საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა. საბჭოთა კავშირი წიგნების გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს 72 ქვეყანასთან. წიგნების გაცვლა-გამოცვლის საკითხებზე უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებასთან მუდმივი კავშირი აქვს დაახლოებით 4 ათას კორესპონდენტს მთელი დედამიწის ზურგიდან. 10 წლის განმავლობაში საზღვარგარეთიდან მიღებულია დაახლოებით ერთი მილიონი ცალი წიგნი. გაგზავნილია საზღვარგარეთ დაახლოებით 600 ათასი ცალი საბჭოთა გამოცემა (ადს).

ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის 3 წლისთავი

ხარკოვი, 7 ოქტომბერი. ხარკოვის ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხანაში შესდგა საერთო საქალაქო კონფერენცია ქარხნის ამუშავების სამი წლის თავის აღსანიშნავად.

დიდი მოხსენებით ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის 3 წლის მუშაობის შესახებ გამოვიდა ქარხნის დირექტორი ამხ. სვისტუნი. მისი განცხადებით, ქარხანამ ამუშავების დღიდან 80.199 ტრაქტორი დაამზადა. კონფერენციაზე გამოვიდნენ უკრაინის კ. პ. (ბ) ოლქკომის მდივანი ამხ. დემჩენკო და საქალაქო პარტკომის მდივანი ამხ. საპოვი.

მისალმების დეპეშები გაეგზავნა საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტს — ამხანაგ სტალინს, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს — ამხ. ორჯონიკიძეს, უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კომიტეტს — ამხ. კოსიორს და პოსტიშევს. (ადს).

სარაიონთაშორისო კონფერენციები

მეცხოველეობის საკითხებზე

სამხრეთ-ოსეთი

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

6 ოქტომბერს სტალინირში მეცხოველეობის საკითხების გასარჩევად მოწვეულ იქნა სარაიონთაშორისო კონფერენცია საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ი. ჯუანიას თავმჯდომარეობით. კონფერენციაზე მოხსენებით და თანამოხსენებით გამოვიდენ მიწადმოქმედების სახ. კომისარი ამხ. არ. ძუგოევი, სტალინირის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ლ. ჯავახიშვილი, ოლქის ვეტექიმი ჯიკაევი. ზოოტექნიკოსი ხანაკოევა, მიწსახკომის აგრონომი ფაფი. გ. ბაგაევი (ჯავა), ტედეევი (ლენინგორი), კარგიევი (ზნაურის პარტრაიკომის მდივანი), ბიტიევი, ბაკიევი, გაწიევი და სხვ.

კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ოლქმა შარშანდელთან შედარებით მიმდინარე წელს მეცხოველეობის დარგში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. მაგალითად, თუ შარშან ჯავის რაიონში მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 14152 უდრიდა, ამჟამად პირუტყვის რაოდენობა 17716-დე გაიზარდა.

ლენინგორის რაიონში შარშან იყო 15026 მსხვილფეხა პირუტყვი, ეხლა არის 16154; ზნაურის რაიონს შარშანდელ 9994-ის ნაცვლად წელს 11281 სული ჰყავს. სტალინირის რაიონს 18304 მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ნაცვლად წელს ჰყავს 18820 მიუხედავად ამისა ოლქის ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელმა ორგანიზაციამ (ლენინგორი სტალინირი) ჯერ კიდევ ნამდვილად ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა საკ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

★

საქონლისათვის საზამთრო ბინების მშენებლობის საქმე, რომლისათვის რაიონების ხელმძღვანელ ორგანოებს მტკიცე ყურადღება უნდა მიექციათ, სამხრეთ-ოსეთის თითქმის ყველა რაიონში სუსტად მიმდინარეობს.

1931 წელს ჯავის, ლენინგორის და ზნაურის რაიონებში ბოსლების მშენებლობის დაწყების დროს არ გაითვალისწინეს საჭირო თანხები. იმის გამო, რომ ოლქის მიწსახკომმა ვერ უზრუნველყო ტიპიური გეგმები, მშენებლობის თვითღირებულება საგრძნობლად გაიზარდა. მაგალითად თითო ბოსლის აგება კოლმეურნეობებს 85.000 მანეთი უჯდება.

ოლქის მიწსახკომმა ვერ უზრუნველყო მშენებლობა საჭირო ხე-ტყის მასალით, ლურსმნით, კირით და ცემენტით.

ამასთან ერთად ადგილობრივაც ვერ გამოიყენეს შინაგანი რესურსები. ყოველივე ამის გამო ბოსლების მშენებლობა, რომელიც ჯერ კიდევ 3 წლის წინად დაიწყო, ბევრგან ეხლაც დაუმთავრებელია. არც ძველი ბინების შეკეთებას აქცევენ საჭირო ყურადღებას. მაგ. ჯავის რაიონში სულ 18 ბოსელია აგებული, რომლებშიაც წვიმა თავისუფლად ატანს. ბოსლებში გამეფებულია უსუფთაობა და არ არის საკმაო განათება ასეთი მდგომარეობაა წონის საბჭოთა მეურნეობაშიც.

★

მიმდინარე წელს საქონლის საკვების მომარაგების მხრივ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ, ამბობს მიწსახკომის უფროსი აგრონომი ამხ. ფაფი. და მართლაც თითქმის ყველა რაიონმა ამ მხრივ პირნათლად შეასრულეს თავისი ვალდებულებები. ასე მაგ.: საკონტროლო ციფრის მიხედვით სტალინირის რაიონმა 588 ცენტნერი საკვების დამზადების ნაცვლად 920 ცენტნერი დაამზადა. ზნაურის რაიონში საკვების დამზადების გეგმა შესრულებულია 115,9 პროცენტით, ჯავის რაიონში 125 პროც., ლენინგორის რაიონში 96,7 პროც.

კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ მართალია უკვე დამზადებულია საქონლის საკვების საკმაო რაოდენობა მაგრამ მისი ადგილებზე მიზიდვა ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს.

კონფერენციაზე აგრეთვე ბევრი ითქვა ზოოტექმომსახურეობის შესახებ უფროსი ვეტექიმი ამხ. ჯიკაევი აღნიშნავს, რომ სამხრეთ-ოსეთის ოლქის თითქმის არცერთ რაიონში არ არის ვეტექიმების საკმაო კადრები. მიწადმოქმედების კომისარიატი ნაკლებად ზრუნავს ვეტექიმების პირობების გაუმჯობესებაზე. ჯავის რაიონში ვეტექიმს და ზოოტექნიკოსებს 6 თვის ხელფასი არ მიუღიათ. ამას ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

ცუდადაა მოწყობილი რაიონის ვეტამბულატორიები. ამბულატორიებში შეხვდებით უსუფთაობას, სინესტეს, რაც დიდად აზიანებს სავეტერინარო ინსტრუმენტებს, აფთიაქებს და სხვ.

მიმდინარე წელს ცუდ ვეტერინალურ მომსახურეობის გამო ლენინგორის რაიონში გავრცელებულია საქონლის ავადმყოფობანი, როგორიცაა, ლორის ჟირი ციმბირის წყლული, საქონლის ტუბერკულიოზი, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მოსახლეობას. ეს იმიტომ, რომ იქ სუსტად იყო დაყენებული ვეტმომსახურეობის საქმე.

სამხრეთ ოსეთში ძალიან ნაკლები ყურადღება ექცეოდა მწყემსების საკითხს. მოკამათე ამხ. ბაკიევი აღნიშნავს, რომ ისინი არ იცნობენ საქ. მიწსახკომის და გაზეთ „კომუნისტის" მიერ საუკეთესო მწყემსებზე გამოცხადებულ კონკურსის პირობებს. დღემდე არ არიან აღრიცხული საუკეთესო მწყემსები, რაიონის ხელმძღვანელებმა არ იციან, თუ რომელი კოლმეურნეობაა მათ სოფლებში საქონლის მოვლა-პატრონობის მხრივ მოწინავე და სხვა. რაიონებში ხშირად ხდება პირუტყვის მტაცებლობა. ამას წინად სტალინირის მახლობელ მთებში ლამით მწყემსების დაუდევრობით 80 ცხვარი დაიკარგა, მაგრამ საკოლმეურნეო საკუთრების მტაცებელთა წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები დღემდე არ მიუღიათ.

★

კონფერენციაზე ზემოდნარჩვენებ საკითხებთან ერთად კამათში გამოსული ამხანაგები ფართოდ შეეხნენ რაიონში უხბოობის ლიკვიდაციის, ნამატის შენარჩუნების და დაგრილების კამპანიის საკითხებს.

შემდეგ საბოლოო შემაჯამებელი სიტყვა წარმოსთქვა სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯუანიამ მან აღნიშნა, რომ რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები მეცხოველეობის დარგში ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ.

კონფერენციაზე მიღებული იქნა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები დღემდე არსებულ ნაკლოვანებების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად.

ქუთაისი

ქუთაისი, 8 ოქტომბერი (საკ. კორ.). 7 ოქტომბერს ქუთაისში გაიხსნა სარაიონთაშორისო კონფერენცია მეცხოველეობის საკითხებზე. მონაწილეობას ღებულობდენ სამტრედიის, ქუთაისის, ვანის, ხონის; ბაღდათის, ჭიათურის, ზესტაფონის, ტყიბულის; ჩხარის და ხარაგოულის რაიონების წარმომადგენლები. პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნები. სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებათა უფროსები, მიწგანის გამგეები და საკოლმეურნეო ფერმების ხელმძღვანელები.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. გარსევანოვის სიტყვის შემდეგ კონფერენციაზე გამოვიდენ მოხსენებით ამხ. გველესიანი, ტალახაძე (ქუთაისი), ჭურაშვილი (ტყიბული), სიმონგულოვი. მჭედლიძე (ბაღდათი), მახათაძე, ფანჩულიძე (ჭიათურა), ჩხაიძე, ცხოვრებაშვილი (ხარაგოული) და სხვა.

კამათიდან, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს აგროზოოტექნიკოსებმა, ვეტექიმებმა და მესაქონლეობის ფერმის ხელმძღვანელებმა. — გამოირკვა, რომ ვანის, ბაღდათის და ჩხარის რაიონებში სუსტად ემზადებიან პირუტყვის საზამთროდ დაბინავებისათვის (კონფერენციის ანგარიში დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში).

ოჩხამურელების ახალი ვალდებულებანი

(„კომუნისტის" საკ. კორ.)

ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დამკვრელებმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩაის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და მაღალხარისხოვნად დამუშავებისათვის ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. პირველმა მთელს რესპუბლიკაში იკისრეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებები და შეჯიბრებაში გამოიწვიეს ჩაის ყველა საბჭოთა მეურნეობა.

ოჩხამურელებმა პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი: ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა თვენახევრით ვადაზე ადრე შეასრულეს. 1-ლ ოქტომბრისათვის გეგმის გარეშე მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკას ჩააბარეს 18 ტონა ფოთოლი; მთელი მოკრეფილი ფოთლის 98,4 პროც. პირველი ხარისხისაა. დაწესებულ ვადებში ჩატარდა პლანტაციების ოთხივე გათოხნა. ამჟამად შერჩევით მიმდინარეობს მეხუთე თოხნა.

ჩაის პლანტაციების დამუშავებაში მექანიზაციის გატარებით მეურნეობამ მიაღწია რამოდენიმე ათასი კაცდღის ეკონომიას.

წარსულთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები: მუშების საცხოვრებლად გაშენდა 13 „მაზანკა" — 52 ოთახით, ორი კაპიტალური შენობა 48 ოთახით, მეურნეობას აქვს საუკეთესო აფთიაქი, რომელიც ემსახურება მეზობელ კოლმეურნეობებსაც; მოწყობილია სტაციონალური საავადმყოფო 20 საწოლით, არსებობს საბავშო ბაღი, ბაგა, ფიზკულტურული მოედანი, მუშაობს რუსულ-ქართული სკოლა და სხვ.

რათა მომავალ წელს მეურნეობამ ქვეყანას მისცეს 500 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი; ამ მიზნით ოჩხამურელები კისრულობენ:

მუშათა საზოგადოებრივი კვების კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად მოაწყონ მეურნეობასთან კომბინატი (სარძეე, ღორების ფერმა, ბოსტანი) და მეცხოველეობას ადგილობრივ შეუქმნან მტკიცე საკვები ბაზა სპეციალურად საკვები კულტურების გაშენებით.

მიმდინარე წლის ბოლომდე გააშენონ 40 „მაზანკა" 160 ოთახით, მოაწყონ ცალკე სასადილოები მუშებისა და სპეციალისტებისათვის, ააშენონ სარემონტო სახელოსნოსათვის სპეციალური შენობა. ააგონ მინერალური სასუქის შესანახი საწყობი, გაიყვანონ წყალსადენი სასადილოებში, შინა-საპლანტაციო გზები მოიყვანონ სრულ წესრიგში.

მეურნეობის გამწვანების მიზნით მუხა-ესტატეს შემოსასვლელი კარებიდან მეურნეობის სამმართველოს ბინამდე მისავალი გზის ნაპირებზე დარგან პალმა, დრაცენა და სხვა; დეკორატიული მცენარეები, ასევე გაამწვანონ ჩაის ფაბრიკაში მისასვლელი გზის ნაპირები მუშათა საცხოვრებელ ბინების წინ ორ მწკრივად დარგან ევკალიპტის ხეები, ხოლო თვითეული სახლის წინ ნარინჯის ხეები; ყველა ბინასთან მისასვლელი გზები მოაწყონ სანიმუშოდ.

მეურნეობის კოლექტივი კისრულობს სანიმუშოდ მოაწყოს რკინისგზის მხრიდან მეურნეობაში მისასვლელი გზა, გააფართოვოს და შეალამაზოს მეურნეობის ბაღი, სპეციალისტების სასადილოს წინ მოაწყოს მუშათა დასასვენებელი პარკი შადრევნებით და სხვ.

მეურნეობის ხელმძღვანელებს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ისე გააუმჯობესონ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები, რომ მომავალ წელს ყველა მთავარი სამუშაო აქ ჩატარდეს მეურნეობის საკუთარი მუშათა კადრების მიერ. ზემოაღნიშნულ ვალდებულებათა შესრულებისათვის მეურნეობა უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას.

პ. კეკელია.

მექანიზაციის გატარებაზე ცოტას ზრუნავენ

ორჯონიკიძის სახ. ქარხანამ ივლისში გეგმა 92,8 პროც. შეასრულა, ხოლო აგვისტოში—86,5 პროც.

თუ დავუჯერებთ ქარხნის დირექტორს, გამოდის, რომ მათი საწარმოო აქტივობის შესუსტება ქარხნის ხელმძღვანელობაზე დამოუკიდებელმა მიზეზებმა გამოიწვია. ნამდვილად კი მიზეზი ბელადის 6 მითითებიდან საჭირო დასკვნების გაუკეთებლობაა.

დავიწყოთ ფაქტებით: ქარხანა განიცდის მუშა-ხელის ნაკლებობას. ივლისში ქარხანას უნდა ჰყოლოდა 370 მუშა, ფაქტიურად ჰყავდა 292 კაცი, ანუ გეგმის 78,9 პრ., აგვისტოში კი 375 კაცის ნაცვლად 287 კაცი, ანუ საჭირო რაოდენობის მხოლოდ 76,5 პროც. მუშა-ხელის ნაკლებობა გამოწვეულია ბელადის მე-3 მითითების შეუსრულებლობით, რომელიც მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებს ეხება. კერძოდ, ეს შეიძლება ითქვას ბინის საკითხზე. ქარხანას არა აქვს მუშებისათვის საკმაო საცხოვრებელი ბინები.

მუშა-ხელის ნაკლებობის გამო ქარხნის საწარმოო დავალების შესრულების გადამწყვეტი საამქრო (თუჯის ჩამომსხმელი) ცუდად მუშაობს, ამ საამქროში ნაცვლად 47 კაცისა (სექტემბრის მესამე დეკადისათვის) მუშაობს მხოლოდ 26. ამის გამო ეს საამქრო სისტემატიურად ვერ ასრულებს გეგმებს. ხოლო თუჯის ჩამომსხმელი საამქროს ცუდად მუშაობა იწვევს მეზობელ საამქროების გეგმების შეუსრულებლობას.

ავიღოთ სახარატო საამქრო. ამ საამქროს მუშაობა დამოკიდებულია თუჯის ჩამომსხმელ საამქროზე. მაგრამ იმის გამო, რომ თუჯის ჩამომსხმელი საამქრო ცუდად მუშაობს და არ ასრულებს საწარმოო დავალებებს. ამ საამქროსაც ეშლება ხელი გეგმის შესრულებაში. მაგალითისათვის ავიღოთ სექტემბერი: თუჯის ჩამომსხმელ საამქროს სახარატო საამქროსათვის 5 სექტემბერს უნდა მიეცა ხუთი კალი № 72 დეტალი („მობილისათვის"), მისცა 14 სექტემბერს; ასევე „მობილის" ბანდაჟი № 157) 10 სექტემბერს უნდა მიეღო, მაგრამ იგი დღემდისაც არ მიუღია. ამან გამოიწვია სახარატო საამქროს ჩამორჩენა. ამ უკანასკნელის ცუდმა მუშაობამ კი ხელი შეუშალა ამწყობ საამქროს.

ერთის მხრივ, სახარატო საამქრო ნედლეულით არაა უზრუნველყოფილი. აგრეთვე, მდარეა დაზგების შეკეთების ხარისხი. ქარხნის მექანიკოსი ინჟინერი ბენენსონის დაუდევარი დამოკიდებულების გამო № 19 დაზგა რემონტის შემდეგ 3 დღეს მუშაობდა, მერე ისევ შესაკეთებელი გახდა; ასევე მოუვიდა № 14 დაზგასაც. ხოლო № 17 დაზგა შეუკეთებლობის გამო ორ თვეზე მეტია უქმად დგას. საამქროს გამგე გრიგორიანი საწარმო პროცესებს სტუმარივით შეჰყურებდა; საამქროს მუშები მოკლებული იყვნენ კონკრეტულ მითითებებს და ხელმძღვანელობას.

სურათზე: მარგანეცის ახლად აგებული გამამდიდრებელი ქარხანა ჭიათურაში. ზემოთ კუთხეში სამუშაოთა უფროსი ინჟ. მარიახინი.

ქარხნის ადმინისტრაცია რომ ნაკლებად ზრუნავს ბელადის მითითებების საფუძველზე მუშაობის გარდაქმნისათვის, ამას ადასტურებს ის უდარდელობაც, რომელსაც ადგილი აქვს მექანიზაციის გატარებაში.

შედიხართ ამწყობ საამქროში და რწმუნდებით ამ დებულების სისწორეში. აგერ 500 ლიტრიანი მანქანა „მაიფერტის" ვეებერთელა ნაწილებს ადამიანის ფიზიკური ძალა ეჭიდება. მუშებს ერთი ადგილიდან მეორეში ხელით გადააქვთ მძიმე ნაწილები;

მექანიზაციის გატარება საჭიროა სამჭედლო საამქროშიც.

ქარხნისათვის არა ნაკლები მნიშვნელობისაა შინა საქარხნო ტრანსპორტის მექანიზირება. დღემდე საამქროდან— საამქრომდე (ხოლო საამქროები ერთი მეორესაგან საკმაო მანძილითაა დაშორებული) ნახევარფაბრიკატების და ნაწილების გადატანა ხელით წარმოებს. ქარხნის ხელმძღვანელებმა უახლოეს დროში უნდა გაატარონ შინა საქარხნო ტრანსპორტის მექანიზაცია.

★

უკანასკნელად, მძიმე მრეწველობის მუშაკთა მომართვისა და ამხ. ორჯონიკიძის სიტყვის საფუძველზე ქარხნის სამკუთხედმაც იგრძნო, რომ ქარხნის ცუდი მუშაობა მათი უხეირო ხელმძღვანელობის შედეგია. აუცილებლად ამის შედეგად უნდა ჩაითვალოს სექტემბრის დავალების 100,1 პროც. შესრულება.

ქარხნის მთელმა კოლექტივმა მძიმე მრეწველობის მუშაკთა მომართვის საპასუხოდ აიღო ვალდებულება მაქსიმალურად გააძლიეროს ბრძოლა სახელმწიფო დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის. ქარხანა ჩაება საბჭოების მე-7 ყრილობის სახელობის ლაშქრობაში.

მაგრამ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, ქვეყნისათვის მიცემული სიტყვის განაღდება შეუძლებელია ზემოთჩამოთვლილი დეფექტების გამოუსწორებლად.

ტერ. ნაროუშვილი.

„მავნე დუმილი"

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1934 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება

გაზ. „კომუნისტის" 30 სექტემბრის ნომერში მოთავსებულ „ახალგაზრდა კომუნისტის" მიმოხილვის შესახებ

1. საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ გაზეთი „კომუნისტი" თავის მიმოხილვაში ძირითადად სწორად აკრიტიკებს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" სუსტ მუშაობას კომკავშირული ორგანიზაციების გარდაქმნის მხრივ, და მიუთითებს, რომ იგი არასაკმაოდ ამჟღავნებს გარდაქმნის საქმეში არსებულ დეფექტებს და დამახინჯებებს, სუსტად რაზმავს კომკავშირელთა მასებს დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

2. აღინიშნოს, რომ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციამ თავის დროზე არ გამოეხმაურა მიმოხილვას, რაც ც. კ-ს დაუშვებლად მიაჩნია, და წინადადებას აძლევს „ახალგაზრდა კომუნისტს" გამოაქვეყნოს მიმოხილვა, გააკრიტიკოს თავისი შეცდომები და დაუყოვნებლივ გაშალოს მუშაობა მიმოხილვაში აღნიშნულ დეფექტების გამოსწორებისათვის.

3. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ორგანიზაციების გარდაქმნა, ჯგუფების განმტკიცება, მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობის ეკონომიურ-უფლებრივი ინტერესების დაცვა, უხეირო ან უუნარო კომკავშირული მუშაკების მუშაობის გაბედული კრიტიკის გაშლა, ამასთან ფართოდ გააშუქოს ცალკეული ორგანიზაციების და მათი ხელმძღვანელების დადებითი გამოცდილება და გადაიქცეს ნამდვილ ორგანიზატორულ ძალად კომკავშირის რიგების შემდგომი განმტკიცების და შინასაკავშირო მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

საქ. ალკკ ცენტრ. კომიტეტის მდივანი —
გიორგობიანი.

პარტსწავლების ჩაშლისათვის უნდა დაისაჯონ

შემოდგომა-ზამთრის პარტგანათლების ქსელის მოსაწყობად ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის შედეგად სწავლება დროზე დაიწყო ტფილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონში.

მთელ რიგ პირველად პარტორგანიზაციებში (აბრეშუმის ფაბრიკა „საქართველოს ჩაი", სტალინის სახ ინსტიტუტის მშენებლობა, (ცეკავშირი და სხვ.) პარტსწავლების პირველი დღე შედარებით ორგანიზებულად ჩატარდა. პარტგანათლების სკოლების უმრავლესობა უზრუნველყოფილია ბინებით, საჭირო ლიტერატურით და რჩეული პროპაგანდისტებით. აღნიშნულ წარმოება დაწესებულებებში მეცადინეობის პირველ დღეს მსმენელთა დასწრება უდრიდა 93 პროცენტს.

მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ორჯონიკიძის რაიონის პარტორგანიზაციებში ყველგან და ყველაფერი რიგზე იყოს. რაიონში არიან მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებმაც სათანადოდ ვერ შეაფასეს პოლიტსწავლება, ვერ უზრუნველყვეს პარტგანათლების ქსელი კარგი პროპაგანდისტებით, ბინით, სასწავლო ნივთებით და, რაც მთავარია, დროზე არ დააკომპლექტეს პოლიტსკოლები. ასეთების რიცხვს ეკუთვნიან ტფილისის საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პარტორგანიზაციები, სადაც დღემდე ვერ შესძლეს პარტგანათლების სკოლების დაკომპლექტება. „ჰიდროელექტრო პროექტის" პარტორგანიზაციამაც ვერ უზრუნველყვეს დანიშნულ დროზე პოლიტწრის მსმენელთა დასწრება და ამით ხელი შეუწყვეს მეცადინეობის ჩაშლას. პოლიტწრის მეცადინეობას ამთვრალის გამო ვერ დაესწრო ივით პარტკომის მდივანი ამხ. კრტიჩიანი. „ტუესის" პარტორგანიზაციაშიც მეცადინეობაზე არ გამოცხადდნენ პროპაგანდისტები ამხ. კრეიტანი და ყოჩიაშვილი. სანაპირო ქუჩის მშენებლობის პარტორგანიზაციაში არ გამოცხადდა პროპაგანდისტი ამხ. მარგოლინი. „ინტურისტი"-ს პარტორგანიზაციაში ასეთი ამბავი მოხდა: მეცადინეობა უნდა დაეწყოთ მიმდინარე წლის 23 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე. პროპაგანდისტი კოსიუკოვსკი გამოცხადდა ერთი საათით ადრე, იცადა 15 წუთი, შემდეგ წავიდა და ჩაშალა პოლიტწრის მეცადინეობა.

ტფილისის საბჭოს პარტკომის მდივანს ამხ. ლოხაშვილს პოლიტსკოლების დაკომპლექტების გარდა, მხედველობიდან „გამოეპარა" პარტგანათლების სკოლის მსმენელთა მომარაგებაც საჭირო ლიტერატურით.

პარტსწავლების აშკარა შეუფასებლობისათვის კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომმა დამნაშავენი ღირსეულად უნდა დასაჯოს რაიკომის პასუხისმგებელმა ინსტრუქტორებმა სისტემატიურად უნდა ადევნონ თვალყური რაიონის წარმოება-დაწესებულებებში პარტსწავლების მიმდინარეობას.

გრ. აროსია.

ა. ბრეგვაძე

მეტი ყურადღება მეცნიერული კომუნიზმის ნაწარმოებთა თარგმანს

ი. სტალინი— „ლენინიზმის საკითხები", პარტგამომცემლობა, 1933.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თეორიული მემკვიდრეობის სხვადასხვა ენებზე და კერძოთ ქართულ ენაზე თარგმანის უდიდესი მნიშვნელობა იმდენად ნათელია ყველასათვის, რომ აქ ამ საკითხზე შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია. კლასიკოსების თარგმანის უდიდესი მნიშვნელობიდან ბუნებრივად გამომდინარეობს უდიდესი პასუხისმგებლობა და სიფრთხილე, რომელიც ეკისრება მთარგმნელებს და მით უმეტეს თარგმნის რედაქტორებს. ცნობილია, რომ ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა მეცნიერული კომუნიზმის საფუძველმდებელთა შრომების თარგმანს. ასეთივე მზრუნველობით, სიფრთხილით და უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა მოვეპყრათ ამხ. სტალინის ნაწარმოებთა თარგმანს. ამ ნაწარმოებებში მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება აყვანილია ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე.

„ლენინიზმის საკითხები"-ს თარგმნა არ არის ადვილი საქმე. ის მოითხოვს მთარგმნელისაგან მაღალ კულტურას და კერძოთ ენის კარგად ცოდნას.

საერთოდ იდეალურად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი თარგმანი, სადაც ნაწარმოების შინაარსის ზუსტად გადმოცემა შეთავსებული არის იმ ენის თავისებურების ყოველმხრივ დაცვასთან, რომელზედაც ის ნათარგმნია. მაგრამ ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი. არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ორიგინალური ნაწარმოების სხვა ენაზე ზუსტად გადმოცემა იწვევს ამ ენის სტილის შელახვას. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევებში? რა დავაყენოთ პირველ რიგზე—შინაარსის ზუსტად გადმოცემა, თუ სტილის დაცვა? რასაკვირველია, პირველი. ე. ი. თავისუფალი თარგმნა არ შეიძლება გავამართლოთ მეცნიერული თვალსაზრისით. მას უნდა მივმართოთ მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ზუსტად თარგმნა შეუძლებელია. „ლენინიზმის საკითხები"-ს რუსულიდან ქართულად თარგმნის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოვახერხოთ მისი შინაარსის სავსებით ზუსტად გადმოცემა ქართულ ენაზე ამ უკანასკნელის თავისებურებისა და სტილის დაცვით. იმ გამონაკლის შემთხვევაში, როცა კი ეს შეუძლებელია, უპირატესობა პირველს უნდა მივაკუთვნოთ.

ამ ზოგადი ხასიათის შენიშვნების შემდეგ გადავიდეთ „ლენინიზმის საკითხები"-ს ქართული თარგმანის (მეცხრე რუსული შევსებული გამოცემიდან) განხილვაზე. უნდა ითქვას, რომ ეს თარგმანი დადებითად განირჩევა წინა თარგმანებისაგან, მაგრამ მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს ყოველ მხრივ მისაღებად, თარგმანის რუსულ ტექსტთან შედარებამ*) გამოამჟღავნა სერიოზულ ნაკლოვანებათა მთელი რიგი. ამ თარგმანის ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ზოგიერთ შემთხვევაში ავტორის აზრის აშკარა დამახინჯება; ე. წ. თავისუფალ თარგმნის მრავალი შემთხვევები; ზედმეტი სიტყვების ხმარება საჭირო სიტყვებისა და ფრაზების გამოშვება; ტერმინების ერთიანობის პრინციპის დარღვევა; ცალკეული სიტყვების შეცდარი თარგმნა; სტილისტიური ხასიათის შეცდომების სიუხვე და სხვა. მივმართოთ სათანადო მაგალითებს და ფაქტიურ მასალას.

„ლენინიზმის საკითხები"-ს მეცხრე რუსული გამოცემის მეხუთე გვერდზე სწერია: „**Но если бы ленинизм являлся только лишь применением марксизма к своеобразной обстановке России, то тогда ленинизм был бы чисто национальным и только национальным, чисто русским и только русским явлением. Между тем, мы знаем, что ленинизм есть явление интернациональное, имеющее корни во всем международном развитии, а не только русское**".

ეს ადგილი ქართულად ნათარგმნია შემდეგნაირად: „მაგრამ ლენინიზმი არ წარმოადგენს მარქსიზმის მხოლოდ გამოყენებას რუსეთის თავისებურ პირობებში, მაშინ ლენინიზმი იქნებოდა წმინდა ეროვნული და მხოლოდ ეროვნული, წმინდა რუსული და მხოლოდ რუსული მოვლენა. ჩვენ კი ვიცით, რომ ლენინიზმი არის არა მარტო რუსული მოვლენა, არამედ ინტერნაციონალური მოვლენაც, რომელსაც ფესვები აქვს მთელს საერთაშორისო განვითარებაში" (გვ. 5—6).

ამ მაგალითზე შეიძლება ვაჩვენოთ თარგმანის ორგვარი ნაკლი: პირველი წინადადების დასაწყისი თარგმნილია არა ზუსტად (თუმცა შეიძლებოდა მისი სავსებით ზუსტად თარგმნა), მაგრამ აზრი სწორად არის გადმოცემული; მეორე წინადადებაში კი ადგილი აქვს ავტორის აზრის დამახინჯებას. სტალინი უარყოფს რა ლენინიზმის ეროვნულ ჩარჩოებით შემოთარგვლას, აღნიშნავს, რომ ლენინიზმში მთავარია მისი ინტერნაციონალური ხასიათი. სტალინი ლაპარაკობს არა იმის შესახებ, რომ ლენინიზმი არის „ინტერნაციონალური მოვლენაც", არამედ იმის შესახებ, რომ „ლენინიზმი არის ინტერნაციონალური მოვლენა, რომელსაც ფესვები აქვს მთელს საერთაშორისო განვითარებაში, და არა მარტო რუსული". ქართულ თარგმანში უმთავრესი მოვლენა (ლენინიზმის ინტერნაციონალური ხასიათი) მიცემულია მეორე ხარისხოვნად და შედარებით მეორე ხარისხოვანი მომენტი კი (ლენინიზმი, როგორც რუსული მოვლენა)—უმთავრესად. რაც იწვევს ავტორის **აზრის დამახინჯებას**. სტალინი მოითხოვს ლენინიზმის ინტერნაციონალური ხასიათის არა მხოლოდ აღიარებას, არამედ მის **პირველ რიგზე** დაყენებას.

შემდეგი ფაქტი. იხილა რა საკითხი პარტიისათვის რკინისებური დისციპლინის მნიშვნელობის შესახებ, სტალინი სწერს: „**...Железная дисциплина не исключает, а предполагает критику и борьбу мнений внутри партии**" (გვ. 71).

ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „...რკინისებური დისციპლინა კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს აზრთა კრიტიკას და ბრძოლას პარტიის შიგნით" (გვ. 84). აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა, სინამდვილეში კი ის ასე არ არის. ასეთი თარგმანის მიხედვით სიტყვას „აზრთა" მიეკუთვნება სიტყვა „კრიტიკა", სიტყვა „ბრძოლა" კი შეიძლება აღებულ იქნეს დამოუკიდებლად სიტყვისაგან „აზრთა", რაც მიგვიყვანს სახიფათო დასკვნამდე პარტიაში არა „აზრთა ბრძოლის", არამედ საერთოდ ბრძოლის დაშვების შესახებ. ვინც წაიკითხავს ორიგინალის სტრიქონს მოყვანილ ადგილის ზევით, დარწმუნდება იმაში, რომ სიტყვა „კრიტიკა" დამოუკიდებელია სიტყვისაგან „აზრთა". ამიტომ აღნიშნული ადგილი უნდა ითარგმნოს შემდეგნაირად: „რკინისებური დისციპლინა კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს კრიტიკას და აზრთა ბრძოლას პარტიის შიგნით".

თარგმანში ნათქვამია: „ზოგიერთი ფიქრობს, რომ ლენინი რეფორმიზმის წინააღმდეგია.. ეს სრულიად არ არის სწორი" (გვ. 7) აქ „რეფორმები" შეცვლილია „რეფორმიზმით", რაც იწვევს **სტალინის აზრის უხეშ დამახინჯებას**. ვინ არ იცის, რომ ლენინიზმი აწარმოებს შეურიგებელ ბრძოლას რეფორმიზმის, როგორც [illegible] ოპორტუნისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ მუშათა მოძრაობაში, როგორც გაკოტრებულ მე-2 ინტერნაციონალის „გენერალური ხაზის" წინააღმდეგ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს კორექტურული შეცდომაა. მაგრამ სავალალოა ის გარემოება, რომ „შეცდომათა გასწორება"-ში, რომელიც თანდართული აქვს თარგმანს, აღნიშნულია ისეთი შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ სიტყვაში რომელიმე ასოა გამოშვებული, და ასეთი უხეში შეცდომები კი ყურადღების გარეშეა დარჩენილი.

ხშირად ერთი შეხედვით უმნიშვნელო შეცდომას მივყავართ უდიდეს პოლიტიკური ხასიათის შეცდომამდე. მაგალითად, ადგილი **ლენინის** ციტატიდან: „**Это еще не построение социализма, но это все необходимое и достаточное для этого построения**" (გვ. 225):

თარგმნილია ასე: „ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს არის ყველაფერი, რაც აუცილებელი და საკმარისია ამ შენებისათვის" (გვ. 262). უკანასკნელ შემთხვევაში სიტყვა „**построение**" ნათარგმნია როგორც „შენება" (უნდა იყოს „აშენება") რაც იწვევს ლენინური მოძღვრების რევიზიას სოციალიზმის ერთ ქვეყანაში აშენების შესახებ.

გადავიდეთ ცუდი თარგმანის შემდეგ მაგალითზე. რუსულ ტექსტში სწერია: „**без этого разговоры о вытеснении кулачества, как класса есть пустая болтовня**"... (გვ 464).

თარგმანი ამ ადგილს გადმოგვცემს შემდეგ ნაირათ: „უამისოდ ლაპარაკი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ არის უბრალო ლაყბობა..." (გვ. 542), ნუთუ **вытеснение** ნიშნავს ლიკვიდაციას და **пустая** უბრალოს? აღნიშნული ადგილი უნდა ითარგმნოს შემდეგნაირად: „უამისოდ ლაპარაკი კულაკობის, როგორც კლასის, განდევნის"*) შესახებ არის ცარიელი ლაყბობა". ამ ცნებათა აღრევა (განდევნის შეცვლა ლიკვიდაციით) საბოლოო ანგარიშში მოგვცემს სტალინის მიერ სასტიკად გაკრიტიკებულ გაიგივებას შეზღუდვისა და განდევნის პოლიტიკისა ლიკვიდაციის პოლიტიკასთან.

თავის მოხსენებაში პარტიის მე-16 ყრილობაზე სტალინი, სხვა საკითხებთან ერთად იხილავს ინდუსტრიალიზაციის მიღწევებს. ის ასახელებს რამოდენიმე ციფრს დამახასიათებლად იმისა, თუ როგორ იზრდება მრეწველობის ხვედრითი წონა მთელს სახალხო მეურნეობაში და ბოლოს დასკვნის: „**В 1929-30 г. доля промышленности, по всем данным, должна составить не менее 53%, а доля сельского хозяйства не более 47%. Это значить, что удельный вес промышленности начинает уже возобладать над удельным весом сельского хозяйства**"... (გვ. 505).

უკანასკნელი წინადადება თარგმანში გადმოცემულია ასე: „ეს იმას ნიშნავს, რომ მრეწველობის ხვედრითი წონა **უკვე** აჭარბებს სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონას": (520). აქ ავტორის აზრი არ არის სწორად გადმოცემული. სტალინი ლაპარაკობდა მაშინ არა იმის შესახებ, რომ „უკვე აჭარბებს", არამედ იმის შესახებ, რომ „უკვე იწყებს გადაჭარბებას.

საერთოდ ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც თარგმანში ცალკე სიტყვების (და ფრაზებისაც კი) გამოტოვების შედეგად ავტორის აზრი აშკარად დამახინჯებულია. რადგან ყველა შემთხვევების აქ ჩამოთვლა შეუძლებელია, შევჩერდით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

არკვევს რა საკითხს ბოლშევიკების დამოკიდებულების შესახებ დამფუძნებელ კრებისადმი 1917 წელში. სტალინი აღნიშნავს: „**идея Учредительного Собрания была одной из самых популярных идей среди широких масс населения**" (გვ. 96).

ამ ადგილს მთარგმნელი და რედაქტორი შემდეგ ნაირად გადმოგვცემენ: „დამფუძნებელი კრების იდეა ყველაზე უფრო პოპულარული იდეა იყო მოსახლეობის ფართო მასებში" (112) თარგმანში გამოშვებულია გამოთქმა „**одна из**" (ერთ-ერთი), რაც იწვევს სტალინის დებულების უხეშ დამახინჯებას. ეს იმდენად ნათელია, რომ მასზე დაწვრილებით შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია.

ავიღოთ შემდეგი ფაქტი. სტალინი სვამს კითხვას—შესაძლებელია თუ არა საბჭოთა გლეხობის პროლეტარიატთან თანამშრომლობა სოციალისტური მშენებლობის საქმეში? და უპასუხებს: „**...советское крестьянство... не может не составлять исключительно благоприятный материал для экономического сотрудничества с пролетариатом**" (გვ. 229).

თარგმანი გვეუბნება სულ საწინააღმდეგოს: „... საბჭოთა გლეხობა.. არ შეიძლება შეადგენდეს პროლეტარიატთან ეკონომიური თანამშრომლობისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ მასალას" (267). კომენტარიები ზედმეტია.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შინაარსის გამოცვლას იწვევს ერთი ასოს გამოშვებაც კი, მაგალითად: სტალინის ფრაზა „**Такова основа экономических кризисов перепроизводства вообще**" (გვ 493).

გადათარგმნილია ასე: „ასეთია საერთო ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისების საფუძველი" (576). ორიგინალში ლაპარაკია არა „საერთო" (**общее**) ჭარბ წარმოებაზე, არამედ ჭარბ წარმოებაზე „საერთოდ" (**вообще**).

ჩვენ უკვე აღარ ვლაპარაკობთ ისეთ ფაქტებზე, როდესაც ორიგინალთან შედარებით **გამოშვებულია** თარგმანში ცალკე სიტყვები და მთელი გამოთქმებიც კი, მაგრამ აზრი ასე თუ ისე სწორად არის გადმოცემული. მათი რაოდენობა ძალიან დიდია. მაგალითისთვის დავასახელებთ მხოლოდ ერთ მათგანს: ფრაზას „**невозможно добиться полной победы**" (გ . 44).

თარგმანი გადმოგვცემს ასე: „შეუძლებელია სრული გამარჯვება" (გვ. 519), უნდა იყოს: „შეუძლებელია სრული გამარჯვების მიღწევა".

ცალკე სიტყვების გამოშვებასთან ერთად თარგმანში ადგილი აქვს მისი **ზედმეტი** სიტყვებით დატვირთვას. სადაც ორიგინალში ნათქვამია: „**Я уже не говорю о таком минусе Октябрьской революции. как отсутствие пролетарского большинства в стране**" (გვ. 71 ხაზი ჩვენია—ა. ბ).

ხაზგასმული წინადადება თარგმანში ასე გამოიყურება: „...როგორიცაა ის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატი არ შეადგენდა მოსახლეობის უმრავლესობას" (გვ. 91). აქ სიტყვების რაოდენობა ორიგინალთან შედარებით გაორკეცებულია, რაც არ არის გამოწვეული რაიმე აუცილებლობით. ყოველგვარი გაუგებრობის გარეშე ავტორის აზრი შეიძლებოდა შემდეგნაირად გადმოგვცა: „როგორიცაა პროლეტარული უმრავლესობის არ არსებობა*) ქვეყანაში" და ამრიგად 11 სიტყვის ნაცვლად მივიღებდით 5—6 სიტყვას.

ან კიდევ: რუსული ფრაზა „**мы участвовали**" (გვ. 97) ნათარგმნია; „ჩვენ ვღებულობდით მონაწილეობას" (113). რა საჭიროა, აქ სიტყვა „ვღებულობდით"? უნდა იყოს: „ჩვენ ვმონაწილეობდით".

სტალინი ხშირად ხმარობს შემდეგი ხასიათის შემოკლებულ გამოთქმებს: „**Отсюда вывод**", „**Отсюда союз рабочего класса и крестьянства**" და სხ. ასეთ შემთხვევებში ქართულ თარგმანში ყველგან ჩამატებულია ან „გამომდინარეობს", ან „წარმოსდგება". ძალიან ძნელია დარწმუნება იმაში, რომ ქართული ენა აუცილებლად და უფრო მოითხოვდეს ამ სიტყვების დამატებას, ვიდრე რუსული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თარგმანში ეს სიტყვები უნდა იგულისხმებოდნენ ისევე, როგორც ორიგინალში, უკიდურეს შემთხვევაში მათ ადგილზე თარგმანში შეიძლება დაისვას „ტირე" (—). გარდა ამისა ისეთი სიტყვები, როგორიცაა „**сказанное**" და სხ., ნათარგმნია: „ის, რაც ითქვა". ამ სამი სიტყვის მაგივრად თავისუფლად შეიძლება ვიხმაროთ ერთი—„ნათქვამი" ან „თქმული". საერთოდ ამგვარი ნაკლი თარგმანში გვხვდება ძალიან ბევრ ადგილას. ზემოაღნიშნულიდან ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ თარგმანში სწორედ იმდენი სიტყვა უნდა იყოს, რამდენიც—ორიგინალში. ზოგიერთი სიტყვა, ცნება, ტერმინი არ შეიძლება ითარგმნოს ერთი სიტყვით. ასეთ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლით მრავალსიტყვიანობას, მაგრამ გადაჭრით უნდა ვერიდოთ ამ უკანასკნელს იქ, სადაც არ არის მისი საჭიროება. ქართული შრიფტი ისედაც მეტ ადგილს იჭერს შედარებით რუსულთან, და ზედმეტი სიტყვების ხმარება თარგმანში გამოიწვევს მით უფრო მეტი ადგილის დაჭერას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თარგმ ცა იდეოლოგიური ხასიათის დამა

---

*) თარგმანის ორიგინალთან შედარებაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. ს. მახარაძემ, ა. ჩიჩინაშვილმა, დ. ჯოლსკამ და ა. ქაქარავამ.

*) აქვე აღვნიშნავთ, რომ არც „განდევნა" მიგვაჩნია მოხერხებულ თარგმანათ სიტყვისა „**вытеснение**".

*) უკიდურეს შემთხვევაში აქ შეიძლება დაემატოს სიტყვა „ჩვენს"

მივხედოთ საგარეუბნო მეურნეობებს

არ იქნა, ტფილისის საგარეუბნო მეურნეობების მეტმა ნაწილმა ბერავ მდგომარეობას თავი ვერ დააღწია. წეროვანის საგარეუბნო მეურნეობებს რამოდენიმე დღეა აღებული აქვთ, ადგილზევე უწყვიათ და ტფილისში ვერ გადმოუტანიათ 100 ტონაზე მეტი პამიდორი, ბადრიჯანი და კომბოსტო, ამ საქონელზე კი ტფილისში დიდი მოთხოვნილებაა. თუ ვინმე ავტორიტეტულად არ ჩაერია ამ ბოსტნეულის გადმოზიდვის საქმეში დამზადებული პროდუქტების მეტი ნაწილი გაფუჭდება.

არც საშემოდგომო თესვა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. წეროვანის საბჭოთა მეურნეობებმა როგორც იქნა დაამთავრეს ჩინური ბოლოკის თესვა, სულ 5,1 ჰექტარი დათესეს (გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა 4.5 ჰექტარის დათესვა), ისპანახი კი 5 ჰექტარიდან მხოლოდ 3-ზე დათესეს.

საშემოდგომო პური აქ 60 ჰექტარზე უნდა დაეთესათ. ნიადაგი უკვე მომზადებული აქვთ, მაგრამ სათესლე მასალის გაწმენდა-შეწამვლას მხოლოდ ახლა იწყებენ.

უფრო ცუდი მდგომარეობაა დიღომის საგარეუბნო მეურნეობებში. ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის უფროსი აგრონომი დედაბრიშვილის აზრით, საგარეუბნო მეურნეობისათვის დიღომში გამოყოფილი ნაკვეთების მეტი ნაწილი, ბოსტნეულის მოსაყვანად უვარგისია, ვინაიდან აქ მეტად ძლიერი ქარი იცის, რაც ნათესს სრულიად ანადგურებს, ამიტომ წელს შემოდგომაზე დიღომის საგარეუბნო მეურნეობები მხოლოდ იმ ნაკვეთებზე დათესავენ ბოსტანს, რომლებიც შედარებით დაცულია ქარისაგან.

ჯერჯერობით დათესილია სულ: ჩინური ბოლოკი—2 ჰექტარი, ისპანახი—1 ჰექტარი, რედისკა 2 ჰექტარი, ხახვი 0.75 ჰექტარი.

მეჭედავთა კავშირის საგარეუბნო მეურნეობამ გარდა ამისა უნდა დათესოს ქერი 14 ჰექტარზე. ქერის თესვა დაწყებული ჯერ კიდევ არ არის. უარეს მდგომარეობაშია პირუტყვის დაზამთრებისათვის მზადება. საზკვების საგარეუბნო მეურნეობას (წეროვანში) ყავს 140 ღორი. სალორეების შეკეთება აქ ჯერ არც დაუწყიათ, არც საკვები აქვთ მომარაგებული. კონცენტრიული საკვები 616 ცენტნერის ნაცვლად დამზადებული აქვთ 25 ცენტნერი და წვნიანი საკვები (ძირნაყოფა და სხვ.) 922 ცენტნერის ნაცვლად—320 ცენტნერი.

ასეთივე მდგომარეობაა თამბაქოს ტრესტის საგარეუბნო მეურნეობაშიც. სალორე არც აქ არის შეკეთებული. კონცენტრიული საკვები 359 ცენტნერის ნაცვლად დამზადებულია 15 ცენტნერი, ხოლო წვნიანი საკვები 488 ცენტნერიდან 320 ცენტნერი.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მექანიკური ქარხნის საგარეუბნო მეურნეობაში (დირექტორი ამხ. პროკოფიევი) ღორებს (180 სულია) აქ ზაფხულზე კონცენტრიული საკვები სრულიად არ ეძლეოდათ. კვებავდენ მეტად მწირ საძოვარზე, ამიტომ ღორები ახლა ძალიან მჭლე და დასუსტებული არიან.

ზამთრისათვის მეურნეობა სრულიად არ ემზადება, არც საკვები აქვს მომარაგებული და არც სალორე მოეპოვება. ღორები მოთავსებულია მეტად ვიწრო და ბინძურ ბინებზა. აქ მათ განადგურება მოელის.

ორი კვირის წინათ მეურნეობა შეუდგა სალორის შენებას. აიყვანეს კედლები, მაგრამ მექანიკური ქარხნის დირექტორ ამხ. ყანდარელის განკარგულებით შენება რატომღაც შეაჩერეს. აშენებული კედლები წვიმისაგან ინგრევა.

კალინინის სახ. ქარხნის საგარეუბნო მეურნეობის ღორები (100-ზე მეტი) ზაფხულსა და შემოდგომაზე საკვების მხრივ ძალიან კარგ პირობებში იმყოფებიან. მეურნეობა მოთავსებულია ტყის მახლობლად და ღორები უხვად პოულობდენ რკოს და კარგადაც არიან გამოკვებილი.

ზამთრისათვის არც ეს მეურნეობაა მზად; სალორე აშენებულია ნესტიან ადგილზე, რაც ხელს უწყობს სიკვდილიანობის ზრდას. გასულ წელს მეურნეობას მოუკვდა 75 სული ღორი.

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით არარენტაბელური, საგარეუბნო მეურნეობები ლიკვიდირებულ უნდა იქნან. ამ დადგენილების მიხედვით გადაწყვეტილია ზოგიერთი მეურნეობის ლიკვიდაცია, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ჯერ სისრულეში არ არის მოყვანილი. მეურნეობებმა არ იციან რა ბედი ეწევა მათ, ამიტომ დემობილიზაციურ განწყობილებას ეძლევიან. ამ მიზეზით ავტოსარემონტო ქარხნის საგარეუბნო მეურნეობამ სრულიად შეაჩერა საშემოდგომო თესვა. ამავე მიზეზით აქ შეაჩერეს სალორის შენება.

ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. მეურნეობები დაუყონებლივ უნდა იქნან ჩაყენებული გარკვეულ მდგომარეობაში. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა მათ მიმართ და ეს უნდა მოხდეს ახლავე, რომ მეურნეობებმა საშემოდგომო სამუშაოები დროზე და კარგად შეასრულონ.

ნ. ტუემალაძე.

ნატურანაზღაურების გეგმა შესრულებულია

ბორჩალო, 7 ოქტომბერი. ბორჩალოს რაიონმა ბამბის სამუშაოთა ნატურ-ანაზღაურების გეგმა 5 ოქტომბრისათვის შეასრულა 100 პროცენტით. ჩაბარებულია 164 ტონა ბამბა. შევუდექით გასული წლის დავალიანების აკრეფას.

სამ.-სატრ. სადგურის
დირექტორი ანდღულაძე.

ხილის უხვ მოსავალთან დაკავშირებით აფხაზეთში დამამზადებელმა ბაზებმა გააცხოველეს მუშაობა. სურათზე: ხილის დამზადება ზამთრისათვის.

ღირსეულად შევხვდეთ საბჭოების VII ყრილობას

მოსკოვის წითელდროშოვანი და სანიმუშო მაღაზიების მიმართვა საბჭ. კავშირის სახვაჭრობის და კოოპერაციის დახლის ყველა მუშაკს.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი ქვეყანა იმყოფება ორი შესანიშნავი თარიღის — დიდი ოქტომბრის რევოლუციის XVII წლის თავის და საბჭოების VII ყრილობის მიჯნაზე. ფაბრიკებსა და ქარხნებში, სოციალისტურ მინდვრებზე იზრდება, შრომის ენტუზიაზმის ახალი ტალღა. იწყება საბჭოების VII ყრილობის სახელობის მასობრივი-საწარმოო ლაშქრობა. მუშათა მასები რაზმავენ თავიანთ ძალებს 1934 წლის საწარმოო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად.

მხარს ვუჭერთ რა წამყვან სამრეწველო საწარმოთა მუშების წინადადებას, ჩვენ, მოსკოვის სანიმუშო და წითელდროშოვანი მაღაზიების დამკვრელები მივმართავთ საბჭოთა კავშირის სახვაჭრობის და კოოპერაციის ყველა დახლის მუშაკს მოწოდებით **გაშალონ საბჭოების VII ყრილობის სახელობის მასობრივი საწარმოო ლაშქრობა.**

ლაშქრობის ჩვენი ძირითადი მაჩვენებლები უნდა იყოს: **ბრძოლა საქონელბრუნვის შემდგომი გაშლისათვის, მეორე ბოლშევიკურ ხუთწლედის მე-2 წლის სავაჭრო-საფინანსო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ახალი სამეურნეო წლის ბოლშევიკური შეხვედრისათვის, გასასვლელი პროდუქციის ხარისხის და მომხმარებლის მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სავაჭრო საქმის ტექნიკის დაუფლებისათვის.**

ვებმებით რა გამარჯვებათა ლაშქრობაში, ჩვენ ვკისრულობთ **წარსდგეთ პატაკით ოქტომბრის XVII წლისთავზე მეოთხე კვარტალის სავაჭრო-საფინანსო გეგმის 50 პროცენტით შესრულების შესახებ, ხოლო 20 ოქტომბრისათვის — საკვარტალო გეგმის მთლიანად შესრულების შესახებ.**

უარვყოფთ რა ყოველგვარ პარადობას, მავნე იერიშობას, ჩვენ ვიბრძოლებთ ჩვენი მაღაზიების მუშაობის სისტემატიურად გაუმჯობესებისათვის, **პატიოსანი, რენტაბელური ვაჭრობისათვის, იმისათვის, რომ მივიღოთ ნორმალური სოციალისტური დაგროვებანი, რომელნიც საჭირო არიან სოციალიზმის შემდგომი ძლევამოსილი მშენებლობისათვის.** ბრუნვის ხარჯების შემცირება 0,5 პროცენტით, ხოლო საქონლის ნაშთების — 10 პროცენტით. ნორმატივთან შედარებით, შეუნელებელი ბრძოლა არამზადებისა და მაროდერების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ შეარყიონ საბჭოთა ვაჭრობის საფუძვლები — აი ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულება რენტაბელური ვაჭრობისათვის ბრძოლაში, საქონელბრუნვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

პარტიამ და მთავრობამ უახლოეს წლებისათვის ამოცანად დაისახეს განახორციელონ საქონლის ცენტრალიზებული განაწილებიდან გადასვლა გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე, ვაჭრობაზე კაპიტალისტების და სპეკულანტების გარეშე. ამ ამოცანის გადაჭრას ჩვენ შევძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმედს არ დავამყარებთ მარტო ცენტრალიზებულ ფონდებზე, არამედ გავაჩაღებთ **ყოველდღიურ ბრძოლას საქონლის დამატებითი რესურსების გამოძებნისათვის.** სამომხმარებლო კოოპერაციის წითელდროშოვანი მაღაზიები და მუშათა დახურული კოოპერატივები კისრულობენ დეცენტრალიზებული დამზადებანი საქონლის სამრეწველო და საპროდუქტო ჯგუფის ხაზით დაიყვანონ 60 პროცენტამდე ბრუნვის მიმართ. ამ გეგმის შესრულების წყაროები იქნება საქონლის დამზადება საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე, სარეწაო არტელებში, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში.

ჩვენ მთავარ ყურადღებას მივაქცევთ მაღაზიებში შემოტანილი საქონლის არა მარტო ოდენობას, არამედ **ხარისხსაც.** ვიქონიებთ რა გავლენას მრეწველობაზე, ჩვენ მივაღწევთ **ისეთი ასორტიმენტის, ისეთი ხარისხის და ფასონის საქონლის თავის დროზე მიღებას, რომელსაც მომხმარებელი მოითხოვს.** ჩვენის მხრით ჩვენ მოვითხოვთ მრეწველობისაგან: **ვადაზე შეასრულოს ჩვენი ხელშეკრულებანი და განაცხადები როგორც საქონლის საჭირო ასორტიმენტის მხრით, ისე სეზონის და მომხმარებელთა მოთხოვნილების მიხედვით.** მრეწველობის ბაზისიდან ყოველგვარი საქონელი აუცილებლად უნდა გამოიგზავნოს **კარგად შეფუთული,** რაც ალკვეთავს საქონლის გაფუჭებას და დატაცებას გზაში.

საჭიროა, რომ მაღაზიაში არსებული საქონელი კულტურულად მივიდეს მომხმარებლამდე. ჩვენ მოწოდებით მივმართავთ სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის დახლის ყველა მუშაკს **დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ საქონლისადმი უხეირო მოპყრობას.** დამხმარე სადგომებში და მაღაზიების თაროებზე საქონელი უნდა ინახებოდეს გაფრთხილებით, თვითეული ნივთი გაყიდვის წინ გულდასმით უნდა იქნას გასინჯული და მოყვანილი სათანადო წესრიგში საცალო ფასის სავალდებულო აღნიშვნით.

ვაჭრობის ელემენტარული წესების დარღვევა უმეტეს შემთხვევაში ხდება ჩვენი ტექნიკური უცოდინარობის გამო. აი ამიტომ ჩვენ, ვიღებთ რა ვალდებულებას კულტურულად მივიტანოთ საქონელი მომხმარებლამდე, **ვკისრულობთ ჩვენი მაღაზიების ყველა მომუშავე 100 პროცენტით ჩავაბათ ტექნიკურ სწავლებაში.**

სასოფლო - სამეურნეო რაიონებში კოლმეურნეთა უკეთ მომსახურეობის მიზნით გახსნილია რთული ასორტიმენტის რაიონული უნივერსალური მაღაზიები. **შეფობის წესით ჩვენ ვკისრულობთ აღმოვუჩინოთ მათ სოციალისტური დახმარება და გადავცეთ ჩვენი მუშაობის საუკეთესო ნიმუშები. ამ საქმეში ისე, როგორც სხვა წამოწყებაში, ჩვენ მხარი უნდა დაგვიჭირონ სასოფლო და საქალაქო საბჭოებმა,** ვინაიდან „ზრუნვა საბჭოთა კულტურულ ვაჭრობაზე უნდა წარმოადგენდეს საბჭოების მუშაობის საბრძოლო პროგრამას". (საბჭოთა კავშირის ცაკის მიმართვიდან 1934-35 წლის საბჭოთა არჩევნების შესახებ).

ასეთია ჩვენი სურვილები და ვალდებულებანი.

მთელს მუშაობას ჩვენს მიერ ნაკისრებ ვალდებულებათა შესრულებისათვის, შრომის ნაცადი სოციალისტური მეთოდების გამოყენებით, ჩვენ წარვმართავთ იმ მხრივ, რომ საბოლოოდ აღმოვფხვრათ განაწილების ნაშთები და საბოლოოდ გადავიდეთ ნამდვილ გაშლილ საბჭოთა კულტურულ ვაჭრობაზე. ვთხოვთ „სოვეტსკაია ტორგოვლიას" რედაქციას იკისროს ჩვენი შეჯიბრების არბიტრობა.

ვემზადოთ ოქტომბრის 17 წლისთავის და საბჭოების VII ყრილობის ბოლშევიკური შეხვედრისათვის!

ვემზადოთ მასობრივი ლაშქრობის ვალდებულებათა კონკრეტულ საქმეებად გადაქცევისათვის! დამკვრელური მუშაობით მოვიპოვებთ საბჭოების VII ყრილობისათვის პატაკის წარდგენის უფლებას.

მოსკოვის სანიმუშო და წითელდროშოვანი მაღაზიების — მოსვაჭრობის ცენტრალური უნივერსალური მაღაზიის, მოსკოვის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის უნივერსალური მაღაზიის, ბაუმანის „ოპ" № 6, ოქტომბრის „ოპ" № 5, მოსვაჭრობის № 15, ოქტომბრის „ოპ" № 2 მაღაზიების, საკნილბოსტანის № 1 მაღაზიის და „ხლადოცენტრის" მუშათა დახურული კოოპერატივის კოლექტივის დავალებით:

ხელს აწერს 19 კაცი

საზაფხულო საესტრადო სეზონის შედეგები

გაზ. „კომუნისტში", „მუშაში", „მოლოდოი რაბოჩიში" მოთავსებული სტატიები, აღნიშნავდენ რა ადმინისტრატიულ-ტექნიკურ ხარვეზებს ფილარმონიის და ესტრადის სახელმწიფო გაერთიანების მუშაობაში, უმთავრესად ხაზს უსვამდენ ნაციონალურ საესტრადო კადრების სუსტად გამოყენებას,

ფილარმონიის და ესტრადის სახელმწიფო გაერთიანების მიერ გეზის აღება: ბათომის, სომხების, ქუთაისის, ბორჯომის მომსახურებაზე ესტრადის მუშაკთა საუკეთესო კვალიფიცური კადრებით, ამ მსახიობთა გაგზავნა პერიფერიაში — უდაოდ წახალისების ღირსი ფაქტია.

ფილარმონიის და ესტრადის სახელმწიფო სამმართველომ, რომელმაც თავისი მუშაობით უკვე მოიპოვა არსებობის უფლება და სეზონიც ჩაატარა ყოველგვარი სახელმწიფო დოტაციის გარეშე; მას აქამდის არ გააჩნია თავისი არც საზამთრო და არც საზაფხულო მოედანი. ამ საკითხის დადებითად გადაჭრაში სათანადო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები. კარგად გვახსოვს „ის დრო, როცა მომემარცხნოდ განწყობილი კრიტიკოსები თავს ესხმოდენ ყოველთვის, რასაც კი შეეძლო დაერღვია მუზიკ-ხოლის საესტრადო პროგრამების „იდეოლოგიური მყუდროება"

ეს იყო, მაგრამ ეს ასე აღარ არის.

თუმცა უნდა ითქვას, რომ რაზსკაზოვამ თავისებურად გაიგო „კურსის შეცვლა", — მაყურებელს შეიძლება მიაწოდო რაც გნებავს, ოღონდ კი სასაცილო იყოს და აი... კიდეც მიაწოდა. დახეთ, მას ახარებს საბჭოთა საქართველოს კულტურული ზრდა. მერე რაში ხედავს იგი ამ ზრდას...

„პარახოთი მოდის ბაქოს პრისტანზე" — ეს ტფილისის დეკლასირებულ კინტოს სიმღერაა. როგორ შეუძლია ამ სიმღერას, რომელიც გაღენთილია წვადებით, ხანჯლებით, „ცეკვით და ფუნიკულიორით—გვიჩვენოს საბჭოთა საქართველოს კულტურული ზრდა?

ვინ გააგებინებს ესტრადის მსახიობს რაზსკაზოვას რომ მის მიერ შეთითხნილ უმეცარ ტექსტსაც რომ თავი დავანებოთ, თვით მელოდია „პარახოთი" შეუფერებელია სერიოზული არტისტისათვის, რომელსაც სურს აღნიშნოს რისიმე კულტურული ზრდა. თეძოების ქანაობა, ხულიგნური ბრიგადის „ტაშის" ორგანიზაცია მოაჯირის იქით — ყოველივე ეს იაფი სახელის მოხვეჭის სურვილია, რასაც ხშირად ესტრადის მუშაკი ხალტურამდე მიჰყავს. სამწუხაროდ, ყოველივე ეს ხდებოდა „არტოს" მოედანზე „გამრთობი, განახლებული ესტრადის" სახით.

მიუზიკ-ხოლის ესტრადაზე მიმდინარე წელს გამოდიოდენ არა მარტო რაზსკაზოვა და კომპ. არამედ აგრეთვე ესტრადის დიდი ოსტატები მოლაპარაკე მსახიობები დამსახ. მსახ. ბორისოვა, ჰუმორისტები გურკო, მარმალადოვი, მუსიკალური კომედიის მსახიობები ტოკარსკაია და ნოვიცკი უნდა აღინიშნოს, როგორც გარკვეული მხატვრული ღირებულების გამოსვლები საბალეტო ნომრებმა პროგრამებში ღირსეული გამოხატულება ჰპოვა ბალეტის მსახიობების — 4 მოსკვინის, მოზგოვაია - ტარასოვსკის და ტრიო კასტელიოს გამოსვლებში.

ტრიო კასტელიოს ტფილისი იცნობს ვერა მაის საბალეტო ანსამბლში გამოსვლებით. ჯერ კიდევ მაშინ იპყრობდა ის საზოგადოების ყურადღებას. მდიდარი ტექნიკა, რთული აკრობატულ ცეკვის გაბედულად შესრულება ამართლებს კასტელიოს დამსახურებულ წარმატებას. კარგენი არიან მკაფიოდ და ტექნიკურად სუფთად მომუშავე აკრობატები ორი ზენიატი. მიმდინარე წელს ტფილისში პირველად გამოვიდა ჟანრის სიმღერის შემსრულებელი მოსკოვის ქალაქის პროფსაბჭოს თეატრის მსახიობი იგანეზოვა, რომელიც მშვენივრად ასრულებდა სიმღერებს ციკლიდან „დასავლეთის ქალი"

არ შეიძლება არ აღინიშნოს სახელმწიფო ჯაზ-რევიუს გამოსვლა, რომლის შესრულებაში ჩანს კარგი ტექნიკა ანსამბლის მხიარული დაკვრა და მასალის ზედმიწევნით მკაფიოდ დამუშავება. განსაკუთრებით „მეთევზეთა სიმღერაში", მოწმობს კომპოზიტორ ვარლამოვის კვალიფიცურ მხატვრულ ხელმძღვანელობას.

პროგრამის ღირსა უდაოდ—ზანტი მომღერალი ცელესტინა კოოლი.

კულტურული, რბის ხავერდოვანი ტემბრით ცელესტინა კოოლი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. გრძნობით შესრულებული სიმღერები „ნიგვზის გამყიდველი", „ბები" და სხვ. ამჟღავნებენ დიდ ვოკალურ ოსტატობას.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქართული ესტრადის ორი სალამო. სალამო გაიხსნა მარო თარხნიშვილის ეთნოგრაფიული გუნდის გამოსვლით. გუნდმა შეასრულა მთელი რიგი ხალხური სიმღერები და ცეკვა. სალამოში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე,

სავსებით დამსახურებული წარმატება ჰქონდათ: ჟანრის სიმღერების შემსრულებელს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს — ლადო კავსაძეს (რომელსაც საჭიროა ცოტა ვუსაყვედუროთ რეპერტუარის სუსტად განახლებისათვის); როგორც ყოველთვის დიდი წარმატებით ჩატარდა ქართული ესტრადის პიონერის მან. აფხაიძის გამოსვლა, აგრეთვე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობების ჰუმორისტ ილურიძე-გოძელაურის, რუსთაველის თეატრის არტისტების ავტორ-ჰუმორისტის ია ქანთარიას და ჰუმორისტების სალარაძე - ჯაფარიძის გამოსვლა. კარგად უძღოდა სალამოს მარჯანიშვილის სახ. თეატრის ნიჭიერი მსახიობი ვასო გოძიაშვილი.

საზაფხულო სეზონის შედეგებს მივყავართ დასკვნამდე, რომ ფილარმონიის და ესტრადის სახელმწიფო გაერთიანებამ დიდი მუშაობა ჩაატარა, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა და დეფექტისა.

გრ. შავგულიძე.

ლაგოდეხის რაიონის დამკვრელი კოლმეურნე ქალები ამხ. ფ. მახარაძესთან

საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს 5 ოქტომბერს ამხ. გ. სტურუას თანდასწრებით ესტუმრა ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობების: „სტალინის გზით", ორჯონიკიძის სახელობის, „წითელი არმიელის", „26 კომუნარის", „ძმური კავშირის" „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოტოვის", „კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის", „მე-17 პარტყრილობის", „ვანო სტურუას" და „ლენინის ხსოვნის" სახელობის დამკვრელ კოლმეურნე ქალთა დელეგაცია. დელეგაციაში შედიოდა 12 კოლმეურნე. დელეგატები ესაუბრნენ ამხ. მახარაძეს თავიანთი კოლმეურნეობების მიღწევებზე, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების და კოლმეურნეთა შეძლებულებად გადაქცევის საკითხებზე. საუბრის დროს კოლმეურნე ქალებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი კულტურული მშენებლობის და საყოფაცხოვრებო საკითხებს. მათ ამხ. მახარაძის წინაშე დააყენეს საკითხი კოლმეურნეობებისათვის მოძრავი თეატრის შექმნის, საბავშო ბაგების და ბაღების მშენებლობის, დედათა და ბავშთა კონსულტაციის ორგანიზაციის, საბავშო დასასვენებელი სახლის აგების ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეთა შვილებისათვის და სხვ..

ვანო სტურუას სახელობის ებრაელთა კოლმეურნეობის წევრმა, ქალმა ამხ. კრიხელმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა ებრაელთა გადასვლას ცხოვრების ახალ გზაზე ამხ. კრიხელმა განაცხადა:

— ჩვენ ამ რამოდენიმე წლის წინათ დავსახლდით ლაგოდეხის რაიონის უდაბურ ტყეში, სადაც ამჟამად კოხტა სოფელია გაშენებული. ეხლა თითქმის ყველა კოლმეურნეს ორ ოთახიანი სახლი გვაქვს. კოლმეურნეობაში გეგმებს წარმატებით ვასრულებ. თუ წინად ჩვენ, ღარიბი ებრაელები, ლუკმა პურისათვის ბოხჩით ხელში კარდაკარ დავიარებოდით. ახლა ჩვენ, ებრაელთ კოლმეურნეები, შეძლებული ცხოვრების გზაზე შევდექით, საბჭოთა ხელისუფლებამ უჩვენა ცხოვრების სწორი გზა ღარიბ ებრაელობას.

კოლმეურნე ქალმა მატრონა წიქარაშვილმა (კოლმეურნეობა „სტალინის გზით"), რომელიც 1931 წლიდან კოლმეურნეობის წევრია, განაცხადა:

— კოლმეურნეობაში შესვლისთანავე ენერგიულად შევუდექი მუშაობას. პირველ ხანებში მეზობელი ქალები დამცინოდენ და მეუბნებოდენ: „ნეტავი" შენ, რისთვის იკლავ თავს მუშაობითო", მაგრამ მათ დაცინვას ყურადღება არ მივაქციე და განვაგრძე მუშობა. შემდეგში ყველა ისინი დარწმუნდენ საკოლმეურნეო შრომის უპირატესობაში და ახლა ჩემთან ერთად ენერგიულად მუშაობენ კოლმეურნეობაში. ამჟამად მე 55 წლის ვარ. ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრი ტანჯვა და გაჭირვება გამომიცდია. მხოლოდ ეხლა, კოლმეურნეობაში მუშაობით გავაუმჯობესე ჩემი ცხოვრების პირობები და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უფრო ენერგიული და მუყაითი მუშაობით ყველა კოლმეურნენი მივაღწევთ შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებას.

კოლმეურნე ქალთა მიერ დასმულ კითხვებზე ამხ. ფ. მახარაძემ გასცა ამომწურავი პასუხი, მოუწოდა მათ კიდევ უფრო ენერგიული მუშაობისაკენ და აღუთქვა ყოველმხრივ დახმარება კოლმეურნეთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

პურის შესყიდვა

სიღნაღი. ზემო-მაჩხაანის სას. საბჭომ მარცვლეულის თავისუფალი შესყიდვისათვის ენერგიული მუშაობა გაშალა.

ამხ. სტალინის სახ. კოლმეურნეობამ კოოპერატივს მიჰყიდა 800 ფუთი ხორბალი, ამხ. ფრუნზეს სახ. კოლექტივმა — 600 ფუთი, ხოლო დანარჩენმა ორმა კოლმეურნეობამ—700 ფუთი.

კოლმეურნეობათა ინიციატივას მიბაძეს ცალკე კოლმეურნეებმა. მაგ.: ფრუნზეს სახ. კოლმეურნეებმა: გიოგო ქადაგიძემ, სტეფანე ნასრაშვილმა და არჩილ ქადაგიძემ კოოპერატივს მიჰყიდეს 20—20 ფუთი ხორბალი.

პურის თავისუფალი შესყიდვა წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე ინდივიდუალურ მეურნეობებში. მაგრამ სატრანსპორტო საშუალებათა მოუგვარებლობის გამო გვიანდებოდა მარცვლეულის გადაზიდვა.

მარცვლეულის ჩამბარებლები უდიდეს მოთხოვნილებას უყენებენ კოოპერატივს, უმთავრესად მოითხოვენ ხე-ტყეს; საშენ მასალას, ლურსმანს, მინას, სამუსიკო ინსტრუმენტებს, კარგი ხარისხის ტანსაცმელს.

მაგრამ კოოპერატივი საკმაოდ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. სიღნაღის რაიკოოპკავშირმა სასწრაფოდ უნდა უზრუნველყოს სასოფლო კოოპერატივები სამრეწველო საქონლით.

მ. ცაკაშვილი

□ □ □

გურჯაანი (საკ. კორესპონდენტისაგან). პურის თავისუფალი შესყიდვა რაიონში წარმატებით მიმდინარეობს. 30 სექტემბრისათვის შესყიდული იყო სულ 131.185 კილოგრამი პური.

ხორბლეულის თავისუფალი შესყიდვა წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე სოფ. გურჯაანის, ბაკურციხის, შაშიანის, ჟრიათუბნის, ველისციხის სას. საბჭოებში.

სამარცხვინოდ ჩამორჩენ და თვითდინებაზე დაეყრდნენ: ჯიმითის, კაჭრეთის, იარმუღალოს და ყანდაურის სას. საბჭოები.

ვ. ჭოჭუა.

□ □ □

ყვარელი (საკ. კორესპონდენტისაგან). რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მარცვლეულის შესყიდვის მხრივ დიდი მუშაობა ჩაატარეს.

შემსყიდველი პუნქტები უზრუნველყოფილია ბინით, ტარით, სასწორებით და კადრებით. ოქტომბრის პირველისათვის შესყიდულია 14.460 ფუთი ხორბალი.

კოლმეურნეები და ინდივიდუალური მეურნეები ქერის ნაცვლად ხორბალს აბარებენ. შესყიდული ხორბალი საუკეთესო ხარისხისაა.

ხორბლეულის შესყიდვას საუკეთესოდ ატარებენ გავაზის და ჰიკანის სასოფლო საბჭოები.

გავაზის სოფ. საბჭოში ლევან ქოქუაშვილის ბრიგადამ პირველმა მიჰყიდა სახელმწიფოს 20 ფუთი საუკეთესო ხარისხის პური.

კ. აფხაზავა.

ქოხებიდან ოდებში

სოფელ გვაზოურში (ხონის რაიონი), სადაც მიწა მოსავლიანობით სახელგანთქმული იყო, წინად ვაჭარ-მიკიტნები, კულაკები და ჩარჩები ბატონობდენ. ცარცვავდენ ღარიბ მშრომელ გლეხებს, მათ ნაშრომს ითვისებდენ და ჯიბეს ისქელებდენ.

ამ ოთხი - ხუთი წლის წინად ამ სოფელში ჩამოყალიბდა 26 კომუნართა სახელობის კოლექტიური მეურნეობა — 15-დე უღარიბესი კომლის შემადგენლობით. პირველ ხანებში მათ საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებოდათ არც გამწევი ძალა და არც სასოფლო - სამეურნეო იარაღები, პრიმიტიულად ძველი იარაღით მუშაობდენ. კოლმეურნეობას წინ გადაეღობა კულაკთა პროვოკაციული წინააღმდეგობანი, მაგრამ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, კოლმეურნეთა ენერგიული ბრძოლით და მტკიცე ნებისყოფით დაძლეულ იქნა კულაკური ცდები.

კოლმეურნეობაში დღეს გაერთიანებულია 36 გლეხის ოჯახი 150 სულის შემადგენლობით. კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია ცოცხალი გამწევი ძალითა და საჭირო სას. სამ. იარაღ - მანქანებით. იქ განსაკუთრებით მემინდვრეობას ეწევიან.

ერთსულოვნად იბრძვიან გვაზოურის კოლმეურნეები შეძლებული ცხოვრებისათვის.

დღეს ყველამ იცის თავისი საქმე, ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრება და კოლმეურნე კოლმეურნეს მიცემულ გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში, სახელმწიფოს ვალდებულებების შესრულებაში, გზის უკეთ გაკეთებაში, ყოფაცხოვრების კულტურულად მოწყობაში.

— ის ჩვენი საუკეთესო დამკვრელია, იმას უცდით — ხელი გაიშვირა ბრიგადირ ნიკოლოზ გრიგოლიამ ჩვენსკენ მომავალ რაჟდენ გრიგოლიაზე და განაგრძო: ის ნამოჯამაგირალია. პარტიის წევრია 1917 წლიდან. კოლექტივის დაარსებიდღიდან მხარში გვიდგას — გვამხნევებს. ყოველთვის ცდილობს ჩვენი ბელადი სტალინის ლოზუნგის საფუძველზე კოლექტივის თითეული წევრი შეძლებული გახდეს.

— ეხლა თუ ცხოვრობს შეძლებულად კოლექტივის რომელიმე წევრი?

— პირდაპირ გავიმართე წელში! — ოცხლად მიპასუხა ნიკო ტერელაძემ, რაც კოლექტივის წევრი გავხდი ცოლშვილის საზრდოზე და ტანისამოსზე აღარ ვფიქრობ, **შევიძინე საოჯახო ნივთები,**

ბიძია, შენ მომავალზე ლაპარაკობ და მე უკვე ვცხოვრობ შეძლებულად! — ამჟამად თქვა **ანტონა მიქაძემ** და განაგრძო. კოლექტივში, რომ ჩავირიცხე გავაერთიანე ერთი ცალი ხარი, ურემი და ერთი ნაკვეთი მიწა სხვა არაფერი გამაჩნდა.

შინ ქი იცი ნიკო ცოლშვილით ვცხოვრობდი დანჯღრეულ პატარა ფიცრულ სახლში. ეს იყო და ეს ჩემი ქონება. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა, **შარშან სამ-ოთახიანი სახლი დავიდგი, შევიძინე ერთი მეწველი ძროხა.** შევიძინე ორი დედა ღორი, ეზოზე დავკიდე რკინის ჭიშკარი, ვიყიდე „შიფონერკა", მაგიდა, ვენური სკამები, საწოლი, აბრეშუმის პარკში ავიღე ფართალი და ჭურჭლეული.

— აბა, მითხარით! ეს შეძლებული და უდარდელი ცხოვრება არ არის? — წაიტრაბახა ანტონამ და გაიღიმა.

— ბეჩა! ამ კაცებმა არ მოიწონეს თავი? — **კატუშა გრიგოლია** მოვიკითხეთ თუ თქვენზე ნაკლები მუშა იყოს, — ან თქვენზე ნაკლებად ცხოვრობდეს. მართალია ჯერ სახლი ვერ ავიშენე, მაგრამ მეწველი ძროხა მყავს, 12 ლიტრას იწველის დღეში. შევიძინე ორმაგი საწოლი, საჭურჭლე და ტანისამოსის შკაფი 4 დუჟინი საუკეთესო ხარისხის თეფში ერთი მაგიდა, 6 ვენური სკამი, 6 ლები და საბანი, 6 ზეწარი, აბრეშუმის პარკში აღებულ ფართალითა და შეკერილი ტანთსაცმელით ოჯახი შევმოსე — თუ ჩემი ქალარა კაცით კარგად ვიქენი, მალე სახლსაც ავიშენებ — დაამთავრა კატუშამ და მადიანად გადიკისკისა.

— ზარმაცები თუ გყავთ თქვენს რიგებში — ვიკითხე განზრახ დაეჭვებით.

— ზარმაცები და უქნარები კარგა ხანია გავრიცხეთ კოლექტივის რიგებიდან — მიპასუხა **ვალიკო მიქაძემ,** — ჩვენი კოლმეურნეობა და კოლმეურნეები პირნათლად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე ვადაზე ადრე აბარებენ ხორცს, რძეს და სხვა პროდუქტებს. სამ. სატრ. სადგურის ნატურით ანაზღაურებენ გადასახადს ტრაქტორების ნამუშევარში, არც ერთი კოლმეურნე არ არის სიაზე ხელმოუწერელი. მოსპეთ წერა - კითხვის უცოდინარობა, კოლმეურნეობის საუკეთესო დამკვრელმა ქალმა ელენა ქიშმარეიამ სრულიად არ იცოდა ანბანი. ეხლა წერა - კითხვა კარგად იცის და გამოწერილი აქვს რაიონული გაზეთი „დამკვრელი". არ არის ისეთი კოლმეურნე, რომელიც შეძლებული ცხოვრების გზას არ ადგეს.

— ჩვენი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, ცოტა მოისუსტებენ გლეხებში ახსნა - განმარტების ჩატარების მხრივ თორემ, გვაზოურში დღეს მთლიანი კოლექტივიზაცია უნდა იყოს! აცხადებენ კოლმეურნეები და ეს სწორიცაა.

ამ საყვედურს გამგეობა სამართლიანად ცნობს და სიტყვას იძლევა, რომ გამოასწორებს ნაკლს და გაათკეცებულ ენერგიით იბრძოლებს, რომ 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობა ნამდვილ ბოლშევიკურ კოლმეურნეობად და ყველა მისი წევრი უახლოეს მომავალში შეძლებულად გადაიქცეს.

დ. ჯღარკავა.

ხინჯებანი „ლენინიზმის საკითხები"-ს ქართულ თარგმანში გვხვდება შედარებით იშვიათად, მაგრამ სამაგიეროთ წიგნი პირდაპირ სავსეა არა ზუსტი თარგმანის ნიმუშებით. სტალინის მოხსენებაში „რ.კ.პ. (ბ) მე-14 კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის" ნათქვამია: „**До сих пор я говорил о резолюциях нашей конференции по вопросам, касающимся непосредственно Коминтерна**" (გვ. 119).

ინებეთ თარგმანი: აქამდე მე ვლაპარაკობდი ჩვენი კონფერენციის იმ რეზოლუციებზე, რომლებიც შეეხებიან უშუალოდ კომუნისტური ინტერნაციონალის საკითხებს" (გვ 138). სავსებით უდავოა, რომ ორიგინალის მიხედვით ნაცვალსახელის „რომლებიც" ქვეშ იგულისხმება „საკითხები" და არა „რეზოლუციები". ჩვენ ვურჩევთ მთარგმნელს და რედაქტორსაც, რომ მომავალში ასეთი ადგილი სთარგმნონ შემდეგნაირად: „აქამდე ვლაპარაკობდი ჩვენი კონფერენციის რეზოლუციებზე იმ საკითხების შესახებ, რომლებიც შეეხებიან უშუალოდ კომუნისტურ ინტერნაციონალს".

გადავიდეთ „ზუსტი" თარგმანის შემდეგ ნიმუშზე. დებულება იმის შესახებ, რომ „**гегемония пролетариата может быть подготовлена и проведена лишь коммунистической партией**" (გვ. 143).

ნათარგმნია: პროლეტარიატის ჰეგემონიის მომზადება და განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ კომპარტიას შეუძლია" (გვ. 166). აქ შინაარსი ასე თუ ისე სწორად არის გადმოცემული, მაგრამ თარგმანი სუსტია. ჯერ ერთი, „განხორციელება"-ს მაგიერ უნდა იყოს „გატარება", მეორე, „მხოლოდ და მხოლოდ" სწორი იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ რუსულ ტექსტში იყოს, მაგალითად, „**только лишь**" მესამე თარგმანი საერთოდ არ არის ზუსტი, რადგან ორიგინალში ქვემდებარე არის „ჰეგემონია", თარგმანში კი —„პარტია". ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართული ენის ბუნება ოდნავადაც არ შეილახებოდა, რომ დასახელებული ადგილი უფრო ზუსტად თარგმნილიყო. სახელდობრ: „პროლეტარიატის ჰეგემონია შეიძლება იქნეს მომზადებული და გატარებული მხოლოდ კომუნისტური პარტიის მიერ" ან კიდევ: წინადადება. „**Большевики должны показать, что они сумеют справиться с этой задачей**" (გვ. 544).

ნათარგმნია: „ბოლშევიკებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ შეუძლიათ ამოცანის გადაჭრაც" (637). ამ პატარა ფრაზის თარგმნაში დაშვებულია სამი შეცდომა, მეოთხეს*) რომ თავი დავანებოთ. „**показать**" ნიშნავს არა დამტკიცებას, არამედ ჩვენებას; მეორე, „**сумеют**" შესძლებენ" და არა „შეუძლიათ"**); მესამე, დაბოლოება „ც" სავსებით ზედმეტია.

შეიძლება ჩამოვთვალოთ ისეთ გამოთქმათა მთელი რიგი, რომლებიც, როგორც წესი, ნათარგმნი არიან სავსებით შემცდარად, მაგალითად: „**...состоит в том, что**"... ნათარგმნია: „...წარმოადგენს იმას, რომ, უნდა იყოს „მდგომარეობს იმაში, რომ; „**топтание на месте**"—„ერთ ადგილზე გაყინვა": „**на этом основании**"—„ამის გამო" და მრავალი სხვა.

ერთი სიტყვის მეორეთი შეცვლა არ გამოიწვევს შინაარსის შეცვლას მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს სიტყვები სინონიმები არიან. მაგრამ თარგმანში, სამწუხაროდ, ადგილი აქვს ამა თუ იმ სიტყვის შეცვლას ისეთით, რომელიც გვაძლევს ავტორის აზრის დამახინჯებას. მაგალითად, ორიგინალში ვკითხულობთ: „**...чтобы эта своеобразная партия представляла на деле блок двух сил—комунистической партии и партии революционной мелкой буржуазии**" (გვ. 142). თარგმანში კი არის: „რომ ეს თავისებური პარტია ნამდვილად წარმოადგენდეს ორი ძალის—კომუნისტური პარტიის ან რევოლუციური წვრილ ბურჟუაზიის პარტიის „ბლოკს" (გვ. 165). ალბათ, მთარგმნელმა „გაუსწორა" ავტორს: სიტყვა „**и**" შესცვალა „**или**"-თ, მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ წინააღმდეგობის შემცველი და დამახინჯებული დებულება მივიღეთ! ასევე გაერთიანება" შეცვლილია „განვითარება"-თი (გვ. 268), „რევოლუცია"—სახელმწიფო"-თი, (გვ. 182) და სხვა. ასეთი ხასიათის შეცდომები აიხსნება არა უეცრობით, არამედ საქმისადმი არა სერიოზული დამოკიდებულებით.

ცალკე სიტყვების აშკარად შემცდარი თარგმნის შემთხვევები იმდენად ხშირია, რომ შეუძლებელია მათი ჩამოთვლა. მაგრამ იმისათვის, რომ მივსცეთ მკითხველს საერთო წარმოდგენა თარგმანის ნაკლზე, მოვიყვანთ პატარა ცხრილს*):

რუსული სიტყვა	თარგმნილია	უნდა იყოს	რუსული სიტყვა	თარგმნილია	უნდა იყოს
Проведение	განხორციელება	გატარება	Раскол	გაყოფა	გათიშვა
Основное	უმთავრესი	ძირითადი	Благоприятный	სასურველი	ხელსაყრელი
Нередко	ხშირად	არაიშვიათად	Разгром	დამარცხება	განადგურება
Немощь	სნეულება	უძლურება	Прислушиваться	გათვალისწინება	ყურის დაგდება
Увенчаться	დამთავრება	დაგვირგვინება	Успех	გამარჯვება	წარმატება
Распад	გახრწნა	დაშლა	Завоевание	მოპოება	დაპყრობა
Растерянность	არევდარევა	დაბნეულობა	Глубочайший	უდიდესი	ულრმესი
Сговорившиеся	შემთანხმებელნი	შეთანხმებულნი	Знаменитый	შესანიშნავი	სახელგანთქმ
Люди	ხალხი	ადამიანები	Вечность	მუდმივობა	მარდულობა
Обязательное	აუცილებელი	სავალდებულო	Отрывать	მოშორება	მოწყვეტა

(* ჩვენ მოგვყავს სიტყვების მხოლოდ ძირითადი მნიშვნელობა.

შეიძლება გვკითხონ: „თქვენ საერთოდ მართალი ხართ, მაგრამ ხომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვანაირად თარგმნოს"? რასაკვირველია, არა. მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ არა ასეთ გამონაკლისზე, არამედ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც აღნიშნული ხასიათის არაპირდაპირ თარგმანში არავითარი საჭიროება არ არის.

თარგმანში დარღვეულია ცნებათა ერთიანობის პრინციპი. ერთიდაიგივე ტერმინი წიგნის სხვადასხვა ნაწილში ნათარგმნია სულ სხვა და სხვანაირად, მაგალითად: „**Единый**" „ნათარგმნია ზოგან როგორც „მთლიანი" ზოგან—„ერთიანი"; „**правильное**" თარგმნილია „მართებული", „სწორი", „**Обстановка**" - „პირობები", „ვითარება", „გარემო", „**Определение**" — „განმარტება", „გასაზღვრა" და სხვ. ეს აიხსნება ერთის ხრივ ქართული ტერმინოლოგიის დაუმუშავებლობით და, მეორეს მხრივ, იმ გარემოებით, რომ „ლენინიზმის საკითხები"-ს ცალკე ნაწილები თარგმნილია სხვადასხვა პირის მიერ. მაგრამ მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცია ამ გარემოებისათვის რედაქტორს, რომელსაც უნდა დაეცვა ტერმინების ერთიანობა.

თარგმანში არც სტილისა და ორთოგრაფიის მხრივ არის ყველაფერი რიგზე. აი მაგალითიც. „**...это положение должно будет и известной степени измениться по мере укрупнения сельского хозяйства по линии совхозов и колхозов**". (გვ. 505).

ნათარგმნია ასე: „...ეს მდგომარეობა რამდენადმე უნდა შეიცვალოს საბჭოთა მეურნეობების და კოლექტიურ მეურნეობების ხაზით, სოფლის მეურნეობის გამსხვილებასთან ერთად" (591). აქ „ძმიე" ზედმეტია, მისი დასმა გამოწვეულია წინადადების ნაწილების შემცდარ განმარტებით. როგორც სტილის, ისე შინაარსის მხრივაც უმჯობესი იქნებოდა, რომ ზემოაღნიშნული ადგილი შემდეგნაირად თარგმნილიყო: „...ეს მდგომარეობა რამდენადმე უნდა შეიცვალოს სოფლის მეურნეობის გამსხვილებასთან ერთად საბჭოთა მეურნეობების და კოლექტიურ მეურნეობათა ხაზით". თარგმანის სტილისტური ხასიათის ნაკლით აიხსნება ნაწილობრივ ის გარემოება. რომ „ლენინიზმის საკითხები" რუსულ ენაზე უფრო ადვილად იკითხება, ვიდრე ქართულ ენაზე. ვამბობთ ნაწილობრივ და არა მთლიანად, რადგან მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ორიგინალის ერთ-ერთი უპირატესობა თარგმანის წინაშე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ნაწარმოების გაგება, როგორც წესი, უფრო ადვილია იმ ენაზე, რომელზედაც ის დაწერილია ავტორის მიერ.

წიგნში მრავალი კორექტურული ხასიათის შეცდომა მოიპოვება. სამწუხაროა, რომ პარტგამომცემლობას შეუჩნევია ისეთი სრულიად უმნიშვნელო შეცდომები, როგორიცაა. მაგალითად: „განხორციელება" (იხ „შემჩნეული შეცდომები" უკანასკნელი გვერდზე) და სხვა, მაგრამ საჭიროთ არ დაუნახავს ისეთი უხეში შეცდომების გასწორება, როგორიც არის „საბჭოთა" ნაცვლად „საბაჟო"-სი (გვ. 578) და სხ.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: ქართულ ენაზე უკვე არსებობს ლენინის თხზულებათა სრული კრებულის რამოდენიმე ტომი „ლენინიზმის საკითხებში" მოყვანილი ლენინის ციტატები, როგორც სჩანს, ნათარგმნია დამოუკიდებლად და ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გვერდები დასახელებულია მესამე რუსული გამოცემის მიხედვით. ჩვენის ფიქრით უმჯობესია, რომ ლენინის ციტატები მოყვანილ იქნეს სათანადო ტომის ქართული გამოცემის მიხედვით (თუ ამ უკანასკნელში არ არის დაშვებული რაიმე შეცდომა), რაც სხვა უპირატესობასთან ერთად ხელს შეუწყობს „ლენინიზმის საკითხებ"-ზე იმ ამხანაგთა გაღრმავებულ მუშაობას. რომელთაც არ შეუძლიათ ისარგებლონ ლენინის თხზულებათა რუსული გამოცემით.

ჩვენ შევჩერდით „ლენინიზმის საკითხები"-ს ქართული თარგმანის მხოლოდ ნაკლზე არა იმიტომ, რომ [illegible] კვნის გამოყვანა ძნელი იქნება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: სტალინის „ლენინიზმის საკითხები"-ს ქართულ ენაზე თარგმნა მეტ ყურადღებას მოითხოვს. უკანასკნელი თარგმანი, მიუხედავად მისი ერთგვარი უპირატესობისა წინა თარგმანთან შედარებით, არ არის ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი; მას ახასიათებს მრავალი ნაკლი, რომლის გამოსწორება შესაძლებელი და აუცილებელია. ამისათვის კი საჭიროა რომ გულდასმით შემოწმდეს თარგმანი თავიდან ბოლომდე და გამოქვეყნდეს მას ახალი უფრო სერიოზული რედაქცია.

---

*) ჩვენ მხედველობაში გვაქვს „**справиться**"- თარგმნა „გადაჭრა"-თ, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა დავეთანხმოთ მთარგმნელს, რადგან აქ მისი უფრო მოხერხებულად თარგმნა შეუძლებელია.

) ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელი ანგარიშს არ უწევს დროს, მაგალითად: „Опирающиеся**" ნათარგმნია „რომლებიც უნდა დაეყრდნონ", უნდა იყოს: „რომლებიც ეყრდნობიან" „**Выразилось**"—„გამოიხატება", უნდა იყოს—„გამოიხატა" და სხვ.

მილიციის 1-ლი სასპორტო სპარტაკიადა

სპარტაკიადის მეორე დღე „დინამოს" სტადიონზე

ბიბლიოგრაფია

ს. მთვარაძე, „ჩვენც ჩვენც",

გამოცემა სახელგამის 1934 წ, ფასი 1 მან და 80 კაპ.

ეს წიგნი შეიცავს ორ საბავშო პიესას: „ჩვენც, ჩვენც" და „აურიე რგოლი".

პირველის თემას შეადგენს კომკავშირის როლი კოლექტივიზაციაში, თემა უსათუოდ აქტუალური და დროულია.

ძირითადი მეთოდი, რომლის საფუძველზე უნდა ხდებოდეს თანამედროვე ცხოვრების მხატვრულ სახეებში ჩამოქნა, სოციალისტური რეალიზმია. რამდენად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას ს. მთვარაძის პიესები? პირველი პიესა „ჩვენც, ჩვენც", თითქოს ამ პრინციპზეა აგებული, მაგრამ სქემატიურია. განკულაკებულ გლეხებს—ლეანცასა და აზარიას ებრძვის სოფლის ახალი თაობა — კომკავშირელ ლექსოს მეთაურობით; ამგვარი ხასიათის ბრძოლას ადგილი აქვს თუშ მწყემსებშიაც.

ავტორი ცდილობს, რომ სინამდვილე დაგვიხატოს, მაგრამ უბედურება იმაშია რომ ავტორის მიერ მიცემული კონკრეტული სახეები ვერ არის დამაჯერებელი კომკავშირელი ლექსო, რომელიც ქალაქიდან მოევლინა თუშეთის სოფლებს, სრულიად ჩამოყალიბებული ასპროცენტიანი კომკავშირელია. ყველაფრის მცოდნე, შეუცდომელი. მან მშვენივრად იცის რომ „სადაც შეგნებაა, იქ პატარა აღარ არის" (გვ. 10) და „გაერთიანებულმა ძალამ უძლეველი სძლია". მისი სიტყვა ჯადოსავით მოქმედებს გოგო-ბიჭებზე და საქმეც უცებ ირჩევა.

ყველაფერი ეს კარგი საქმეა მაგრამ არ გვჯერა, რომ სინამდვილეში ყველაფერი ასე სქემატიურად ხდებოდეს. ეს დამაჯერებელი ტონი აკლია მთვარაძის პიესას. ლექსო პიესაში დიდებზედაც ჯადოსნურად მოქმედებს თუში მწყემსი-გუგუთა მან უცებ გადაიყვანა კოლექტივის მხარეზე. ცრუმორწმუნეობაზედაც ხელი აიღებინა და ხანჯალით ხელში აყვირებს განკულაკებულთა მიმართ: „წელან თუ მომატყუეს, ახლა აღარ მოვტყუვდები! მოვკლავ... მოვკლავო აქაც სქემატიურობა და ნაკლები დამაჯერებლობა და სწორედ ესაა ამ პიესის საერთო ნაკლი.

მეორე პიესაში („აურიე რგოლი") ზოგან მართალია, ავტორი სინამდვილეს კონკრეტულ სახეებში იძლევა. ხულიგან მოწაფეებს სწორად წარმოგვიდგენს, მაგრამ დამახასიათებელი მომენტები ისე გაჭიანურებულადაა მოცემული რომ ამ ფართოფითი მოვლენის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა ერთიანად იჩრდილება, და ხულიგან მოწაფის, წუკას გარდაქმნა ერთობ ხელოვნურად გვჩვენება. იგი სინამდვილეს არ ჰგავს არც ავტორის მიერ პიესაში მოცემულ გასამართლებებს აქვს ჩვენი სკოლის კედლებში ადგილი; ხულიგნობას საბჭოთა სკოლა სხვაგვარი პედაგოგიური ზომებით ებრძვის, ვიდრე ეს სარეცენზიო წიგნშია მოხსენებული.

ვარ. ხუროძე.

სურათზე: 26-ის სახელობის ქარხნის ზეინკალი ამხ. ხელეზნევი, რომელიც თავისი რაციონალიზატორული წინადადებებით წლიურად 18 ათას მანეთის ეკონომიას აძლევს ქარხანას.

ახალი უდიდესი სასტუმრო ბათომში

ბათომში ყოფილი სამხედრო ტაძრის ადგილას (ბულვართან) შენდება „ინტურისტის" სასტუმრო, რომელიც თავისი მოცულობით უდიდესი სასტუმრო იქნება მთელს ამიერ-კავკასიაში სასტუმრო ჯდება 4-ნახევარი მილიონი მანეთი. დამხმარე სათავსოებთან ერთად მასში იქნება 260 ოთახი. აქედან საექსპლოატაციოდ გამოიყოფა 111 ოთახი დანარჩენი ფართობი ნავარაუდებია სალონების, საბანკეტო დარბაზის, საზამთრო და საზაფხულო რესტორანის, სამკითხველოებისა, საპარიკმახეროებისათვის და სხვ

სასტუმროს თვითეულ ნომერში გაყვანილი იქნება ტელეფონი. ნომრების მეტ ნაწილს ექნება ცალკე საკუთარი აბაზანი, საპირფარეშო და სხვ სასტუმროს სართულები ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება ლიფტებით. თავისი მორთულობით.

ამ დღეებში შენობა დაათვალიერა აკადემიკოსმა შუსევმა (რომელიც მთელს საბჭოთა კავშირში გათქმულია როგორც ლენინის მავზოლეის დამპროექტებელი), რომელმაც მშენებლობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

ნოტის საბეჭდავი მანქანა

ნოტის გადაწერა მეტად ძნელი საქმეა. ჩვენში უმთავრესად მისი გადაწერა წარმოებს ხელით, რაც მოითხოვს გადამწერის მაღალი კვალიფიკაციას, ბევრ დროს და დიდ თანხებს (თითო ოპერის გადაწერა რამოდენიმე ათასი მანეთი ჯდება).

ნოტის გადაწერის ასეთ სიძნელეს თავიდანვე მიაქციეს ყურადღება მუსიკალურ წრეებში. ჯერ კიდევ 1921 წელს მუსიკოსმა ვასილ თამარიშვილმა სათანადო ორგანოებს წარუდგინა წინადადება, რომ ხმარებაში შემოეღოთ მის მიერ ახლად გამოგონებული ნოტის საბეჭდავი მანქანა, რომელიც წააგავს ჩვეულებრივ საბეჭდავ „რემინგტონის" სისტემის მანქანას. მას ერთდროულად შეუძლია როგორც ნოტების, ისე სიტყვების (ლექსების) დაწერა; გამოსაყენებლად არის ძლიერ ადვილი (მასზე ბეჭდვა შეუძლია ყველას, ვისაც ოდნავ გაეგება მუსიკის ანბანი) და მასობრივად დამზადების დროს ჯდება ძლიერ იაფი.

ნოტების ხელით გადაწერის დროს შეიძლება მხოლოდ თითო ეგზემპლიარის გადაწერა. თამარიშვილის მიერ გამოგონებულ მანქანას კი ერთდროულად შეუძლია რამოდენიმე ასეული ეგზემპლარის დაბეჭვდა.

თამარიშვილის გამოგონება დამტკიცებულია სათანადო ორგანოების მიერ. იგი მოიწონა აგრეთვე განსახკომში სპეციალურად მოწვეულმა თეატრალურ ორგანიზაციების წარმომადგენლების და კომპოზიტორების თათბირმა

საჭიროა გადაიდგას ნაბიჯი ამ გამოგონების პრაქტიკულად გამოყენებისათვის.

აჭარისტანის კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში

ბათომის ფიზიოთერაპიული ინსტიტუტი გადაკეთდა კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტად. მოეწყო წყლის სამკურნალო. ნაწილობრივ შეკეთდა ინსტიტუტის შენობა, გაუმჯობესდა ავადმყოფთა კვება. შეძენილი იქნა მრავალი საჭირო აპარატურა. 1934 წლის გეგმით ამ ინსტიტუტის საჭიროებისათვის დაიხარჯება 160.000 მანეთი. ამ თანხიდან 100 ათასი მანეთი საქართველოს კურორტთა მთავარ სამმართველოს უნდა გადმოერიცხა მეორე კვარტალის ბოლოს, მაგრამ დღემდე არ არის გადმორიცხული. ეს გარემოება ინსტიტუტის მოწყობას ძალიან აბრკოლებს.

ინსტიტუტის სანიტარული მდგომარეობა კარგია. სტაციონალურ ავადმყოფთა მოვლა-მკურნალობაც დამაკმაყოფილებელია ფოტოთერაპიული, ელექტროთერაპიული და ჰიდროთერაპიულ განყოფილებათა მუშაობაც ამჟამად თავის სიმაღლეზე დგას.

ავადმყოფებისთვის პროდუქტებს იძლევიან მომარაგების კომისარიატი და კურორტმომარაგება; ნაწილობრივ კერძო ბაზარზე ყიდულობენ ინსტიტუტს არ გააჩნია ბიოქიმიური და საკლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიები. მათ მოსაწყობად 26.000 მანეთის დახარჯვაა გათვალისწინებული ხელსაწყოების შეძენა უკვე დაიწყო, მაგრამ ლაბორატორიებისთვის ბინა ჯერ არ ჩანს.

ამბულატორიულ ავადმყოფებს იღებენ ბათომში დროებით ჩამოსული პროფესორებიც. ივლისა და აგვისტოში პროფ. ღოლობერიძე და ექიმი თევზაძე იღებდენ ავადმყოფებს. მაგრამ მიღების საათები არ იყო განსაზღვრული, რადგან ინსტიტუტის ადმინისტრაციამ არ იცოდა თუ რომელ მატარებელს ჩამოჰყვებოდენ ისინი ქობულეთიდან ამის გამო სამუშაო დღეები ხშირად ცდებოდა სხვა პროფესორ-ექიმებსაც არა აქვთ მიღების გარკვეული საათებში, რაც ავადმყოფთა უკმაყოფილებას იწვევს.

ინსტიტუტს არა ჰყავს საექიმო და სამეცნიერო მუშაკთა მტკიცე კადრი, მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე მისვლის და წასვლის ზუსტი აღრიცხვა არ ხდება. თვითეული განყოფილება „თავისებურ" რეგისტრაციას ახდენს, რომლიდანაც ვერაფერს ვერ გაიგებთ თუ ვინ დააგვიანა, ვინ ადრე წავიდა ან ვინ გამოტოვა სამუშაო.

ალ. მინდაძე

საქ. ექიმთა საზოგადოებაში

5 ოქტომბერს ტუბინსტიტუტის აუდიტორიაში შესდგა საქართველოს ექიმთა საზოგადოების წლიური კრება. მეოთხე საერთაშორისო ანტირევმატიული კონგრესის შესახებ, რომელიც შესდგა მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსკოვში, მოხსენებით გამოვიდა დოც. ივ. კონიაშვილი.

მომხსენებლის სიტყვით მოსკოვში ჩატარებულ ანტირევმატიულ კონგრესზე, რომელსაც 92 უცხოელი დელეგატი დაესწრო, განხილულ იქნა სამი ძირითადი საკითხი: 1) მწვავე რევმატიზმის კლინიკა (32 მოხსენება) 2) რევმატიზმის ბალნეოთერაპია (22 მოხსენება) და 3) პროფესიონალური რევმატიზმი (13 მოხსენება)

კონგრესთან დაკავშირებით მოეწყო სპეციალური გამოფენა რევმატიზმის პროფილაქტიკისა, საბჭოთა მიღწევებისა საკურორტო საქმისა და სხ. ეს გამოფენა დარჩა მუდმივად მოსკოვში. გამოშვებულ იქნა სათანადო ლიტერატურა. საქართველოდან დაიბეჭდა სამი წიგნი: 1) „საქართველოს კურორტების ცნობარი" (ფრანგულად), 2) კრებული „რევმატიზმის საკითხებზე" (რუსულ-ფრანგულად) და 3) „რა არის რევმატიზმი?" (პოპულიარული ბროშურა ქართულ ენაზე).

კონგრესზე წარმოდგენილ მასალების მიხედვით გამოირკვა, რომ რევმატიზმის დროს 100 პროცენტში გულია დაავადებული, ხოლო სახსრების დაავადება 60 პროცენტშია გამოხატული.

რევმატიზმის ეთიოლოგია (უშუალო გამომწვევი მიზეზი) ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა გამორკვეული, ამ დარგში დიდი კლინიკურ-ექსპერიმენტული მუშაობა წარმოებს როგორც საბჭოთა კავშირში ისე უცხოეთში.

რევმატიზმის საკითხების მეცნიერულ შესწავლისა და მის წინააღმდეგ მასობრივ-პროფილაქტიურ ბრძოლის გასაშლელად კონგრესმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული საბრძოლო ამოცანები.

ანტირევმატიული საერთაშორისო მეხუთე კონგრესი შესდგება 1936 წ. შვეციაში.

საქ. ექიმთა საზოგადოების წარსული მუშაობის შესახებ ილაპარაკა დოც. ზ. ვაჩაძემ.

ექიმთა საზოგადოებას ბათომში, სოხუმსა და სამხრეთ ოსეთში აქვს ფილიალები. ტფილისში კი სპეციალობის მიხედვით ჩამოყალიბებულია 13 სხვადასხვა სექცია.

საქ. ექიმთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ექ. პ. კიკალიშვილი, მოადგილეებად: პროფ. შ. მიქელაძე და პროფ. გრ. მუხაძე; მდივნად დოც. პ. შუშანია; წევრებად: ექ. გ. ბონდოევი, დოცენტები: გ. ვაჩაძე, გ. მჟავანაძე და ნ. ყიფშიძე. სარევიზიო კომისიაში არჩეულია; პროფ. სვ. ყიფშიძე, დოც. პ. ბუაჩიძე და ექიმი ალ. კორძახია. სარედაქციო კოლეგიაში; პროფ. ვლ. ჟღენტი, დოც. ალ. ჯიჯავაძე და დოც. პ. ქავთარაძე.

ა. გ.

სპეციალისტების სახლის მშენებლობა

საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება სპეციალისტების სახლის მშენებლობის მდგომარეობის შესახებ და მიღებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი ამ სახლის დამთავრებისათვის.

ბინებს მიეცემათ მხოლოდ ინჟინერ-ტექნიკოსებს და მეცნიერ-მუშაკებს რომელთაც დამსახურება მიუძღვით მრეწველობისა, მეცნიერებისა, ტექნიკისა და ქვეყნის დაცვის საქმეში.

მთელი ის საცხოვრებელი ფართობი, რომელიც განთავისუფლდება სპეციალისტების ახალ სახლში გადაყვანასთან დაკავშირებით, გამოყენებული იქნება მხოლოდ ინჟინერ-ტექნიკოსთა და მეცნიერ-მუშაკთა ჩასასახლებლად.

ახლად დამთავრებულ სპეციალისტების სახლში ჩასასახლებელ პირთა შერჩევა დაევალა საქართველოს ინჟინერ-ტექნიკოსთა სასექციათაშორისო ბიუროს და მეცნიერების მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს. ჩასასახლებელ პირთა სიები განსახილველად წარედგინება ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო საბოლოო დასამტკიცებლად საქ. ცაკის პრეზიდიუმთან არსებულ სპეციალისტების სახლის მშენებლობის დამხმარე კომისიას.

წინადადება მიეცა სახელმწიფო, სამეურნეო, სამრეწველო და სამეცნიერო სასწავლო დაწესებულებებს — კანდიდატები სპეციალისტების სახლში ჩასასახლებლად წარადგინონ სასექციათაშორისო ბიუროსა ან მეცნიერების მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროში კუთვნილებისამებრ — არა უგვიანეს ა.-წ. ოქტომბრის 15-ისა.

მეცნიერება და ტექნიკა

900 მეტრის სიღრმეზე

ამერიკელმა მეცნიერმა დ-რ **ვილიამ ბიბმა** თავის თანაშემწე **ორტის ბარტონთან** ერთად დაამყარა „სიღრმის რეკორდი": სპეციალურად დამზადებულ აპარატის — „ბატისფერის" საშუალებით ის ჩაეშვა ოკეანეში 900 მეტრის სიღრმეზე. ამრიგად, ბიბმა და მისმა თანაშემწემ გადააჭარბეს მათ მიერვე ამის წინ რამდენიმე დღით ადრე დამყარებულ სიღრმის რეკორდს. როცა ჩაეშვნენ 750 მეტრზე და წყალქვეშ დაჰყვეს ორი საათი.

დ-რი ბიბი „ბატისფერაში" სახურავის დაკეტვის წინ.

#

„ბატისფერა" წარმოადგენს სხმულ ფოლადის სფეროს, ორ ტონამდე წონით და 1,25 მეტრ დიამეტრით. მას აქვს ქვარციდან დამზადებული სამი ფანჯარა. უდიდეს სიღრმეზე „ბატისფერას" კედლები უძლებდა 80 კილოგრამ წნევას 1 კვ. სანტიმეტრზე. „ბატისფერას" კონსტრუქცია ეკუთვნის **ორტის ბარტონს** და მან იგი უძღვნა ნიუ-იორკის ზოოლოგთა საზ-ბას, რომელიც გეოგრაფიულ საზოგადოებასთან ერთად ფინანსიურ დახმარებას უწევდა ბიბის ექსპედიციას. ოკეანეს ფსკერზე ბარტონმა კინო-ლენტზე გადაიღო სიღრმეების მცხოვრებთა ცხოვრება.

ბატისფერათი ჩაშვების მიზანია—ოკეანეს სიღრმეების ცხოვრების შესწავლა.

„უაზროა თვით იმის ცდაც კი, რომ რამდენიმე სიტყვით ავწეროთ ის ახალი, რაც ჩვენ ვნახეთ. მაგრამ ჩვენ ვნახეთ უამრავი თევზები, და უფრო დიდი თევზები, ვინემ წინანდელ ჩაშვების დროს. ყოველი ახალი ჩაშვება მარწმუნებს, იმაში, რომ სრულიად უაზროა ცდა — ოკეანეს სიღრმეების მცხოვრების შესახებ წარმოდგენა შევქმნათ ბადეების საშუალებით. დიდ სიღრმეზე მცხოვრებ თევზთა დიდი ნაწილი ისე სწრაფად სცურავს, რომ გაექცევა ყოველგვარ ბადეს"—წერს დ-რი ბარტონი.

გემზე დარჩენილ ექსპედიციის წევრთან ოკეანეს ფსკერიდან ტელეფონით საუბრის დროს ბარტონი იტყობინებოდა. უზარმაზარ მანათობელ თევზების შესახებ, რომლებიც მიიპყრო ბატისფერას პროჟექტორის სინათლემ. დიდ სიღრმეზე მან დაინახა ექვსი მეტრის სიგრძე „საშინელი ცხოველი, რომელიც ელვარებდა, როგორც მრავალსართულიანი სახლი —კოშკი ღამით".



„ბატისფერას" ჩაშვება ოკეანეში.

150 ტონა ხორბალი ყაზბეგის რაიონის მეცხვარეებისათვის

(ს. ყაზბეგი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

იმის გამო, რომ ყაზბეგის რაიონს არ ყოფნის პური საკუთარი მოსავალი, მეცხოველეობისათვის ხელის შეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობამ ყაზბეგის რაიონის მეცხვარეებისათვის გამოჰყო 150 ტონა ხორბალი.

რაიონულმა ორგანიზაციებმა უკვე გაანაწილეს ეს ხორბალი კოლმეურნე და ერთპიროვნულ მშრომელ მესაქონლეთა შორის.

ქუთაისის ახალი თეატრის მშენებლობა

წულუკიძის და ლერმონტოვის ქუჩაზე დაიწყო ქუთაისის ახალი თეატრისათვის წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა. დანგრეულ იქნა ძველი დარაბები და სახლები, გაიწმინდა მოედანი. ამჟამად ადგილზე დაწყებულია საამშენებლო მასალების დამზადება. უახლოეს დღეებში დაიწყება მიწის გათხრა.

სამი ქალაქის შეჯიბრება ჩოგბურთში

გაიმარჯვა მოსკოვმა

უკანასკნელი დღე

როგორც გუშინ აღვნიშნეთ, შვიდი დღის დაძაბული თამაშის შემდეგ სამ ქალაქის შორის ამხანაგურ შეჯიბრებაში მოსკოვმა და ლენინგრადმა ერთმანეთს მოუგო ექვს-ექვსი შეხვედრა. უკანასკნელ გადამწყვეტ თამაშში **მულტინო-ტისი** (ლენინგრადი) **ნოვიკოვ-ტეპლიაკოვის** (მოსკოვი) წინააღმდეგ პირველი ხელი დასრულდა ლენინგრადელების გამარჯვებით 7:5 ანგარიშით. ამიტომაც უკანასკნელ დღეს ყურადღებას იპყრობდა მხოლოდ ამ შეხვედრის დასრულება.

მეორე ხელში ძლიერი თამაშით ნოვიკოვმა და ტეპლიაკოვმა მოიგეს 6:3 ანგარიშით.

უკანასკნელ გადამწყვეტ ხელში ბრძოლამ გაფთრებული ხასიათი მიიღო. ამ ხელს უნდა გადაეწყვიტა პირველობის საკითხი, და ამიტომაც ორივე მხარე დიდის მონდომებით თამაშობდა. ლენინგრადელები უფრო შეთამაშებულნი არიან და უპირატესობა მათ მხარეს არის. ანგარიში უკვე მათ სასარგებლოდ იყო და ერთი ბურთის მოგებით პირველობაც უზრუნველყოფილი ექნებოდათ, მაგრამ ერთის მხრივ მულტინოს მიერ დაშვებულ შეცდომისა და მეორეს მხრივ მსაჯის უყურადღებობის გამო, რომელმაც უსწორო ბურთი მოსკოვს მოგებულად ჩაუთვალა, წააგებინა ლენინგრადელებს ეს გეიმი, რასაც მოჰყვა პარტიის და მატჩის წაგებაც. შეხვედრის შედეგი, მოსკოველების სასარგებლოდ 5:7; 6:3; 10:8.

ნეგრებეცკი - კლოჩკოვამ ადვილად გაანადგურეს **სერებრიანიკოვ - კლდიაშვილი** 6:1, 6:0 ანგარიშით.

ნეგრებეცკიმ ფეხის ტკივილის გამო უარი განაცხადა თამაშის გაგრძელებაზე სერებრიანიკოვთან ინდივიდუალურ შეხვედრაში და ეს მას წაგებად ჩაეთვალა. დანარჩენ შეხვედრებში ლენინგრადმა მოუგო ტფილისს.

შეჯიბრების საბოლოო შედეგები ასეთია: **მოსკოვი - ლენინგრადი** 7:6 პირველების სასარგებლოდ, **მოსკოვი - ტფილისი** — 13:0 და **ლენინგრადი - ტფილისი** — 11:2 პირველი ადგილის დაკავებით მოსკოვმა მოიპოვა ტფილისის ფიზკულტურის საბჭოს გარდამავალი დროშა.

მოსკოვის გამარჯვება სრულიად შემთხვევითი არ არის ამ შეჯიბრებაში ის მონაწილეობას იღებდა თავისი ძირითად შემადგენლობით და მთელი შეჯიბრება დიდის დაკვირვებით და მონდომებით ჩაატარა.

ლენინგრადი კი, პირიქით, დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, მთელ შეჯიბრებაში გათამამებული თამაშობდა და დაისაჯა კიდეც.

მოგვყავს გამარჯვებულ გუნდის შემადგენლობა: **ნოვიკოვი, ჩისტოვი, ხინიუჩკოვი და ალფეროვი** (ვაჟები); სათადარიგო **ზარუეცკი**; ქალები: **ტეპლიაკოვა და სურნაჩევა**.

ქრონიკა

— ახალგაზრდობის კონფერენცია ლიტერატურის საკითხებზე. 10 ოქტომბერს ტფილისის საბჭოს წითელ დარბაზში მოწვეულია ახალგაზრდობის პირველი კონფერენცია ლიტერატურის საკითხებზე. პირველი მწერალთა საკავშირო ყრილობის შედეგებისა და თანამედროვე ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს საკავშირო მწერალთა ყრილობის დელეგატი ირ. აბაშიძე.

— 9 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი იწვევს თათბირს ახალგაზრდა შემოქმედებითი კადრებთან მუშაობის საკითხებზე.

თათბირზე მოწვეული არიან: ახალგაზრდა მწერლები, ლიტ-კონსულტაციის მუშაკები, ლიტ-წრეების ხელმძღვანელები და პრესის წარმომადგენლები, აგრეთვე სახელგამის, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას", გამომცემლობა „ფედერაციის", საქართველოს პროფსაბჭოს, კომკავშირის ც. კ-ის და ტფილისის საბჭოს განათლების განყოფილების წარმომადგენლები.

სამი საათი თვითმფრინავით ტფილისიდან მესტიაში

5 ოქტომბერს ტფილისიდან მესტიამდე თვითმფრინავ „ქუთაისით" სამი საათის განმავლობაში გადაფრინდა მფრინავი ჩანკოტაძე.

გადაფრენა მოხდა სპეციალური დავალებით: საჭირო იყო მესტიის საავადმყოფოს გამგის, ქირურგ ქ. ჯაფარიძისათვის სასწრაფო საექიმო დახმარების აღმოჩენა რისთვისაც ტფილისიდან აღნიშნულ თვითმფრინავით გაიგზავნა ექ. გერსამია.

თვითმფრინავი „ქუთაისი" უკან გამობრუნდა 6 ოქტომბერს; გზა მესტიიდან ქუთაისამდის დაძლეული იქნა 1 საათსა და 40 წუთის განმავლობაში. ფრენა მოხდა განსაკუთრებულ ძნელ პირობებში, რადგან სვანეთის მთები დაფარული იყო ახალი თოვლით და ჰქროდა ძლიერი ქა

ჭადრაკი

რესპუბლიკების მაესტროთა შეჯიბრება

პირველი ადგილი დაიკავა ვ. გოგლიძემ

მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. მაკაგონოვი ვერესოვმა მოიპოვა მაესტროს სახელწოდება.

უკანასკნელი ტური

ვ. გოგლიძის დღევანდელი შეხვედრა კონსტანტინოპოლსკისთან ინტერესს იწვევდა მხოლოდ იმით, თუ რამდენით გაუსწრებდა იგი **ვ. მაკაგონოვს**. პირველი ადგილი მას უზრუნველყოფილი ჰქონდა და ამიტომ პარტიის წაგებაც მისთვის საშიში არ იყო.

თამაშმა თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო. კონსტანტინოპოლსკიმ დებიუტით რამოდენიმე უკეთესი მდგომარეობა მიიღო. მაგრამ შუათამაშში მდგომარეობა უეცრად შეიცვალა და უპირატესობა გოგლიძის ხელში გადავიდა, ჩქარა დაიცვალა ფიგურები და მოწინააღმდეგენი შეთანხმდენ ყაიმზე.

სრულიად არ იყვნენ განწყობილნი მწვავე თამაშისათვის **რაუზერი და ვ. მაკაგონოვი**, განსაკუთრებით პირველი, რომელიც უკანასკნელ პარტიებს საგრძნობლად სუსტად თამაშობდა და მის ერთად ერთ სწრაფვას წარმოადგენს იმ ოთხთა რიცხვში მოხვედრა, რომელნიც გაემგზავრებიან მოსკოვს საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. ამის მისაღწევად მისთვის საკმარისი იყო ყაიმი, ხოლო **ვ. მაკაგონოვს** შერჩენოდა მეორე ადგილი. ასეც მოხდა. ხანმოკლე თამაშის შემდეგ დაახლოვებით თანასწორ მდგომარეობაში მოწინააღმდეგენი შეთანხმდენ ყაიმზე.

ამრიგად, პირველი, მეორე და მესამე ადგილის ბედი უკვე თითქმის გამორკვეული გახდა.

სამაგიეროდ ჯერ კიდევ ტურის შუაში არ შეიძლებოდა დაბეჯითებით იმის თქმა, თუ ვინ იქნებოდა მეოთხე. შეჯიბრების თითქმის ყველა დანარჩენ მონაწილეს ჰქონდა ამის შანსები. ყველას აქვს ქულათა დაახლოვებით ერთნაირი რიცხვი და ის, ვინც მოიგებდა, გავიდოდა წინ, წაგებული კი შესაძლოა დარჩენილიყო უკანასკნელ ადგილზე.

ამ მხრივ ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს **ვერესოვ—ებრალიძის და კასპარიან—სილიჩის** პარტია. განსაკუთრებით პირველი ვერესოვისთვის საკმარისი იყო მხოლოდ ყაიმი და ამით იგი მიიღებდა, როგორც მაესტროს სახელწოდებას. ისე ოთხთა რიცხვში მოხვდებოდა. კირილოვთან მწარე გამოცდილების მიღების შემდეგ, ვერესოვი დღეს თამაშობს თავშეკავებულად, ირჩევს ფრანგული დაცვის გაცვლითს ვარიანტს, ბრძოლა მშვიდობიანად ვითარდება და პარტიაც ყაიმით თავდება

დაძაბულ ბრძოლას ჰქონდა ადგილი **კასპარიან—სილიჩის** პარტიაში. დღესაც ისევე, როგორც ყოველთვის, კასპარიანმა, დებიუტის სუსტად ცოდნის შედეგად, საშუალება მისცა მოწინააღმდეგეს ბევრად უფრო თავისუფალი მდგომარეობა მიეღო. შუა თამაშში იგი მიდის ფიგურის შეწირვაზე, რაც უმართებული იყო. მისი ყოველივე შემდგომი ცდა გაემწვავებინა მდგომარეობა, უშედეგოდ რჩება. სილიჩი თამაშობს კარგად და აღწევს გამარჯვებას.

ვერაფერი გააწყო ერთმანეთთან **კმოხმა და ხელეზნევმა**. ხანგრძლივი და რთული მანევრების შემდეგ მდგომარეობა მეტად გამარტივდა და მოწინააღმდეგენი შეთანხმდენ ყაიმზე.

ნიმცოვიჩის დაცვის წინააღმდეგ, **რაგოზინმა მ. მაკაგანოვთან** უაღრესად დიდი უპირატესობა მიიღო და მოსალოდნელი იყო, რომ პარტიაც მისი გამარჯვებით დასრულდებოდა, მაგრამ შუა თამაშში მეტად მარტივი მდგომარეობისას იგი აკეთებს უხეშ შეცდომას, (რაც დაღლილობით უნდა აიხსნას) და აგებს პაიკს. მიუხედავად ამისა. მას იმდენად დიდი პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, რომ მ მაკაგონოვი მხოლოდ ყაიმს დასჯერდა.

ფიზიკურმა დაღლილობამ იჩინა თავი **სოროკინ—კირილოვის** პარტიაში. მწვავე თამაშის შედეგად სოროკინმა მიიღო მოგებული პარტია და სწორედ ამ დროს დაუშვა უხეში შეცდომა, დაუსვა მოწინააღმდეგეს ლაზიერი და დანებდა.

გადადებულ პარტიებში **კირილოვმა** გაუთამაშებლივ დასთმო **ებრალიძესთან**. **კასპარიან—კონსტანტინოპოლსკის** პარტია დამთავრდება დღეს დილით.

შეჯიბრების საბოლოო შედეგი ასეთია: პირველი ადგილი გოგლიძე +9½

მაესტრო გოგლიძე, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა რესპუბლიკების მაესტროთა შეჯიბრებაში.

ვ. მაკაგონოვი +8½, მესამე, მეოთხე და მეხუთე: **კმოხი, რაგოზინი და რაუზერი +7**, მეექვსე და მეშვიდე: **ვერესოვი და სილიჩი +6½**, შემდეგ: **ხელეზნევი, მ. მაკაგონოვი და კირილოვი +6, კონსტანტინოპოლსკი +5½** (1 დაუმთავრ.), **ებრალიძე +5½, სოროკინი +5 და კასპარიანი +4½** (1 დაუმთავრ.).

ამრიგად საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების უფლება მოიპოვეს **გოგლიძემ, ვ. მაკაგონოვმა, რაუზერმა**.

მეოთხე ადგილის საკითხი, შეჯიბრების პირობის თანახმად, გადაწყდება ვერესოვის და სილიჩის მატჩით.

დღეს, 9 ოქტომბერს, საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება შეჯიბრების საზეიმო დახურვა შემდეგი დღის წესრიგით: საღამოს 6 საათზე მოეწყობა კმოხის ერთდროული სეანსი მე-43— შრომის სკოლის პიონერების წინააღმდეგ. შემდეგ კმოხი და შეჯიბრების მონაწილენი დამსწრეებს გაუზიარებენ თავის შთაბეჭდილებებს შეჯიბრების შესახებ საუკეთესო პარტიების ახსნა-განმარტებით.

დასასრულ ნაჩვენები იქნება სახკინმრეწვის მიერ გადაღებული მომენტები ამ შეჯიბრებიდან.

ა. ფ—ლი

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება 9 ოქტომბერს დღის 12 საათზე იწვევს თათბირს შემოდგომა-ზამთრის კომკავშირული პოლიტსწავლების მომზადების მიმდინარეობის შესახებ. თათბირზე მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: **დემეტრაძე** (კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი), **ახალაძე** (ლენ. რაიკომი), **კარლინსკი** (სტალინის რაიკომი), **ბარქაია** (26-ის სახ. რაიკომი), **დარახველიძე** (საგარეუბნო რაიკომი), **როგავა** (ა. ლ. კ. კ-ის ც. კ-ი), **ხილაძე** (ა. ლ. კ. კ-ის ტფილისის კომიტეტი), **ბაღდასაროვი** (ა. ლ. კ. კ-ის ლენინის რაიკომი), **ახვლედიანი** (ა. ლ. კ. კ-ის სტალინის რაიკომი), **მღებრიშვილი** (ა. ლ. კ. კ-ის 26-ის სახ. რაიკომი), **აბულაძე** (ა. ლ. კ. კ-ის ორჯონიკიძის რაიკომი).

ზემოდასახელებული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ დაუგვიანებლივ მასალებით.

ს. კ. პ. (ბ) ტფ. ორჯ. ორჯონიკიძის სახელობის რაიონული კომიტეტი ამით აცხადებს წარმოება - დაწესებულებათა სამკუთხედების საყურადღებოდ, რომ 10 ოქტომბერს 7 საათზე ვოროშილოვის სახ. კლუბში (კომინტერნის № 5)

შესდგება თათბირი

მუშა-მოსამსახურეების საშემოსავლო გადასახადის და კულტგამოსაღების ახალი დებულების განმარტებისა და აღმოჩენილ დეფექტების გაცნობის მიზნით.

წარმოება დაწესებულებების სამკუთხედების და ბუხჰალტრების დასწრება აუცილებელია.

ს. კ. პ. (ბ) ორჯ. ორჯონიკ. სახ. რაიონული კომიტეტი

ოქტომბერი 6-30, 8 9-30, 11 — ახალი მხატ. დოკუმენტალური ფილმი „ოლიმპიადა" ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნებაზე

დამკვრელი (საზაფხ.) -30. -40. 11

დამკვრელი (საზამთ.) 6-30. 10 11-15 დილით [illegible]

ამპი (საზაფხ.) 6-30 — ვერცხლის შარფი [illegible] სერია კვირას და ოთხშაბათს 6-30.

ითერი (საზაფხ.) 7-45. 9-15. 10-45 — „ვერცხლის შარფი" 1-ლი სერია

„26"-ის სახელ. 7 -30 10 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ატრაქციონი"

ლიუქსემბურგის სახელობის -30, 8. 9-30, 11 — ახალი ხმოვანი—მოლაპარაკე ფილმი „ორჯელ შობილი"

„კომინტერნი" საზაფ. დილით 4-15. 10 — მხატვრული კომედია „ხანუმა"

დამკვრელსა და ლიუქსემბურგის დღის სეანსები ბავშვებისათვის. დასაწყისი 12 1-30.

9 ოქტომბერს საღ. ზუსტ 9 საათზე მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13) საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი მართავს რესპუბლიკის სახალხო არტისტის კომპ. ზაქარია ფალიაშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის აღსანიშნავ საღამოს მხატვრული განყოფილებით.

შესვლა თავისუფალია. 410

რუსთაველის თეატრი რესპ. სახალხო არტ. სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით 1934-35 წ სეზონი.

14 ოქტომბერს სეზონის გახსნა

შილერი [illegible]-15 აბ. 1 წ.

in Tirannos

აბონემენტების გაცემა შეწყვეტილია.

დასაწყისი 8 საათზე მეორე გადასახადი სავალდებულოა.

ექიმი ბერიშვილი

ვენერიულ., საშარდე, სასქესო, სიფილისი და კანისა დილ. 9 12 ს., საღ. 6—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი პლეხანოვის შესახვევი № 8 სასტუმრო „ევროპას" ყოფ. „ნოე"-ს გადასწვრივ. 414 10-1

ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საბჭოს საარჩევნო კომისია 9 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ვოროშილოვის სახელობის კლუბში (კომინტერნის № 5) იწვევს ორჯონიკიძის სახელობის რაიონში შემავალ ყველა საბინაო ამხანაგობების თავმჯდომარეებს, კომსახლების სამეულების თავმჯდომარეებს და აქტივ დიასახლისების

რაიონულ კონფერენციას.

დღის წესრიგი: საბჭოების საანგარიშო საარჩევნო კომპანიის შესახებ მომხ. ა. რუხაძე.

ნ. 487 საარჩევნო კომისია.

ექიმი ლ. ქ. ფალავა

შარდ-სასქესო ორგ. სიფილისი და ვენერ. [illegible] აღ. 7—9 საათამ [illegible] № 148 [illegible] 4705

მეანაბრეთა საყურადღებოთ!

10 ოქტომბერს საღ. ზუსტ 7 საათზე ტყავტრესტის კლუბში (მიხ. ნიკოლ. ის ქ. 94) შესდგება უპროცენტო მომგებიან ანაბრების მესამე კვარტალის მრავ. ტირაჟი.

ტირაჟზე ვიწვევთ ყველა მეანაბრეებს შესვლა თავისუფალია.

ტირაჟის შემდეგ კინო.

ტფ. შემ. სალ. და ს. კრედიტო სამმართველო.

407

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობამ

გამოვიდა

სტალინი საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ.

იყიდება პარტგამომცემლობის მაღაზიებში. 2-2 483

რაჟდენ შალვაშვილი ცოლშვილით იუწყება მამის ილია სიმონის-ძე შალვაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 8 ოქტომბერს სოფ. ნუკრიანში (სიღნაღის რაიონი) ანგ. 624

საქ. ცაკთან არსებულ საბჭოთა სახლის თანამშრომლები და ლექტორები იუწყებიან ამავე დაწესებულების თანამშრომელ თამარა ბაქრაძის დედის ეკატერინე ბიჭია-ასულ ბაქრაძის გარდაცვალებას ქვ. 5405.

მეუღლე მიხეილ გაბესკირია შვილებით: ტატიანა, ცაცა, ძაძუნა, შალვა და ამირანი იუწყებიან ცუცუ გაბესკირიას გარდაცვალებას. დასაფლავება ახალ სენაკში 9 ოქტომბერს. უფ.

ტფილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტები იუწყებიან ამავე კურსის სტუდენტ ცაცა გაბესკირიას დედის ცუცუ გაბესკირიას გარდაცვალებას დაკრძალვა 9 ოქტომბერს ახალსენაკში ქვ. 5416

სამტრესტის მეცხვარეობის ზონალური სადგურის სამკუთხედი და თანამშრომლები იუწყებიან ამავე მეურნეობის თანამშრომლის ნინა ბაკურია-ჩრიშანოვსკის უდროოდ გარდაცვალებას. ქვ. 5406

იაშა და ნიკო კუპრაძეები ოჯახობით იუწყებიან დედის ეფლიტა ნიკოლოზის-ასულ კუპრაძის გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 9 ოქტომბერს 6 ს. დაკრძალვა 10 ოქტომბერს. გამოსვენება რკ.-გზ. საავადმყოფოდან. ქვ. 5408

ტასო, თამარა, ანდრო და ვერა ბაქრაძეები იუწყებიან დედის ეკატერინე ბიჭია-ასულ ბაქრაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ონში. 9 ოქტომბერს. ქვ. 5409

ჯიბო აბაშიძე მეუღლე შუშანიკათი, დედა ვასასი, ძმა მიხაკო, შვილები თამარი, დათიკო, ჟორა, სოსიკო, პაჭუკა, ქეთო, რძალი ჰილდე და სიძე ნიკუშა წერეთელი იუწყებიან ფალიკო ერგემლიძის გარდაცვალებას. ქვ. 5391

საქ. სახელმწ. დაზღვევის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ნიკოლოზ ლუკას - ძე კუპრაძის დედის ეფლიტა ნიკოლოზის ასულის გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. რკ. გზის საავადმყ. პროზექტურაში, გამოსვენება იქიდანვე 10 ოქტ. 5 ს. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. ქვ. 5413.

მისამართები: რედაქციის, რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის, რუსთაველის პროსპ № 84 ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—62—08, პასუხისმგებელი მდივნის 3—06,88, მასობრივი განყოფილების 3—78—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27—04.

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული 3424.